№ 2782
კვირა,
27 მარტი

ცნობის ფურცელი

№ 2782
კვირა,
27 მარტი

გაზეთი ღირს: წელიწადში—6 მ., თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით" პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „ცნობის ფურც." რედაქციის კონტორაში განქის დიდ ქუჩაზე, № 27. განცხადებანი რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და გ. მეტცლისა და კამპ. განცხადებათა კანტორებში მოსკოვსა და პეტერბურგში.

ყოველ-დღიური გამოცემა
1896—1905

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.—დაუბეჭდავს მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს, ხოლო ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"-„Моамбе". ტელეფონი № 37.

წელიწადი — სანატორიუმი — მეორე
4400 ფუტის სიმაღლე. და საზაფხულო სამყოფი 15 ივნისიდან 31 მარიამობისთვემდე.
✦ ექიმის ვახტანგ დ. ღამბაშიძისა ✦
პატარა-ცემში, ბაკურიანის რკინის გზაზედ.

მიიღებიან ქალ-ვაჟნი 8—16 წლამდე: სისხლნაკლებნი, დასუსტებულნი, მოქანცულნი, ნაავადმყოფარნი, მადა-დაკარგულნი, ჭაობის ციებით შეპყრობილნი და სხვა.

წამლობა განსაკუთრებით ბუნებრივი და ჰიგიენური: მთის ჰაერი, დასვენება, უხვი საზრდო, გასართობი და სამკურნალო ვარჯიშობა, წყლით ექიმობა და სხვა.

დაწვრილებითი ცნობების შეტყობა პირადად ანუ წერილობით ექიმ ვ. ღამბაშიძესთან: ტფილისი, ნიკოლოზის ქ., № 46, 4—5 საათამდე კვირა დღის გარდა. (0—2).

გამგეობა ქუთაისის გუბერნიის მეაბრეშუმეთა
პირველ ამხანაგობისა

ამით აუწყებსთ წევრთ ამა ამხანაგობისას, რომ მდგომარე წლის აპრილის 3 რიცხვისათვის დღით კვირას, დილის ათ საათზე ს. კუხში დანიშნულია ჩვეულებრივი წლიური საზოგადო კრება განსახილველათ და დასამტკიცებლათ ამხანაგობის 1903 და 1904 წ. ანგარიშებისა და სხვა მიმდინარე კითხვათა. (2—02354—3)

ძმ. ნიკიტინების ცირკი.

კვირას, 27 მარტს, დიდი წარმოდგენა 3 განყოფილებად. სხვათა შორის საღამოს ასე 11 საათზე გაიმართება ორი კავკასიური ჭიდაობა. ცნობილი ფალავანი **ვანო ფანაველი** დაეჭიდება ფალავანს **ჯიბგირს**. გამარჯვებულს ვერცხლის საათი. მეორე ჭიდაობა: ჰერკულესი **რომო** დაეჭიდება განთქმულ ფალავანს **იოსებ მოტოშვილს**. გამარჯვებულს 25 მან. დასასრულ კომიკური პანტომიმა. დასაწყისი საღამოს 8½ საათ. დაწვრილებით პროგრამაში. (1—1)

ქუთაისში გახსნილია იაფი ვაჭრობა
ყოველ გვარ საწერ და საკანცელარიო ნივთებისა
სავაჭრო სახლი **ი. გოკიელოვის შვილები**
(10—ნკ—3)

სამღვდელოების საყურადღებოდ
დაიბეჭდა და იყიდება „**მარხვანი**" ხუცურს ასოებით, სიღნაღის სობოროს მღვდელ ალექსანდრე სიმონოვთან. ფასი 5 მანეთი. (3—1)

სასტოლარო სახელოსნო
იოსებ მაჭავარიანისა
იღებს შემკვეთთას ყოველნაირ ავეჯისას, ყველასათვის ხელმისაწვდენ ფასში. იქვე იყიდება დამზადებული წიგნების და ბუფეტის შკაფები და სასადილო სტოლები. ელისაბედის ქუჩა № 19. (10—6.—5)

ქუთაისის სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობა
„კოლხიდა"-სთან
იყიდება: **ნერგები** დამყნილ ვაზისა, ხეხილისა, ბჟოლისა (თუთისა). **თესლეულობა—აბრეშუმისა** (თეთრი და ყვითელი), **ბამბისა, ბოსტნეულისა,** და სხვა. შაბიამანი, გოგირდი, სამეურნეო იარაღი და მანქანები. ქართული პრეისკურანტი უფასოდ. (10—6.—7)

ნამდვილი ცელულარული
✦ თესლი აბრეშუმისა ✦
ბაღდადის ჯიშისა, ოსმალეთის საუკეთესო ფირმებისა
ა. პ. ზახარიადისა.
ერთად-ერთი წარმომადგენელი კავკასიაში **ძმ. პასკალიდებისა** აგრეთვე ვყიდი საჯიშო თესლს ბაღდადის ჯიშისას. მსურველთ შეუძლიანთ აგრეთვე ჩემგან შეიძინონ თესლი ოსმალეთის და საფრანგეთის საუკეთესო ფირმებისა. 20 აპრილამდის მიჰმართეთ: ტფილისში, სოლოლაკი, ლერმონტოვის ქ. № 18 და 20 ერამოვის სახლი. (30—429—20)

მამა დავითის მთაზე!
გაიღო რესტორანი-ბაღით
„ბანდემირი"
(ფუნიკულერიდან მეორე სახლი)
რესტორანს აქვს საზოგადო ზალა და თავისუფალი კაბინეტები მშვენიერის მოწყობილებით.
ხასმელ-საჭმელი ყოველნაირია: ადგილობრივი და საზღვარ-გარეთული.
(1—131—1). პატივისცემით **ტ. ი. ფარჯანაძე.**

იყიდება
„ПОЛНЫЙ КУРСЪ ВИНОГРАДАРСТВА"
გ. ფოექსისა, რუსული თარგმანი ფასი 5 მ. 50 კ.
საწყობი: თელავი, საუფლისწულო უწყების წინანდლის სარდაფი. (3—126—1)

პატარა სირაჯხანაში, სიონის ტაძართან, შარბაბჩევის სახლებში გავხსენი სასტუმრო ოთახები
„ძველი ტფილისი",
ოთახის ფასები ხელ-მისაწვდენია—40 კაპეიკიდან მანეთ ნახევრამდის. პატივცემით ფილიპე ივანის ძე **ნიკალაიშვილი** და **ბაბაშვილი**. (3—3)

ექიმი-ბებია
პ. ნ. დემიდოვი
ყოფილი ასისტენტი იურიევის (დერპტის) უნივერსიტეტის საბებიო-საგინეკოლოგო კლინიკისა, მიიღებს ავადმყოფებს საბებიო, ქალთა და ბავშვთა სნეულებისას ყოველ დღე, დილის 1-დან ნაშუადღევის 8 საათამდე. შემოწმება ძიძებისა და მოახლეებისა მხოლოდ კვირაობით 3-დან 4 საათზე. რეუტოვის ქ. № 22, ტელ. 313. (5—1)

ექიმი
ა. ნ. დიასამიძე
მიიღებს ავადმყოფებს: სიფილისის, კანის და ვენერიულის ყოველ დღე დილის 9—11-მდე და საღამოს 6—8-მდე, გარდა კვირის საღამოსა. ლორის-მელიქოვის და ბარონის ქუჩების კუთხე, მესხიშვილის სახლი ფოსტის პირდაპირ № 18. (60—28—45)

ქ. ბათუმში
ექიმი ა. გ. მაჭალაშვილი
მიიღებს შინაგანის და ბავშვების სნეულებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9—10 საათამდის.
ტფილისის და ვლადიკავკავის ქუჩების კუთხეში კომერციულ ბანკის სახლი. (60—403—43)

აუწერელ მწუხარებაში მყოფნი: პელაგია ბერეჟიანის ასული ჟორჟოლიანისა, ფილიპე, ანტონ, ვასილ, ალექსანდრე და სერგო ჟორჟოლიანები გულითად მადლობას უძღვნიან ნათესავთ, მეგობრებს და ნაცნობთ, რომელთაც პირადათ თუ წერილობით ანუგეშეს ისინი საყვარლის შვილის პირველისა და უკანასკნელების დაუვიწყარის ერთად-ერთი დის, ბათუმის საქალებო გიმნაზიის მოსწავლე **ქსენიას დაკარგვის გამო.** (1—1)

ტფილისის
კერძო სამკურნალო
მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.
დილით:
მ. ი. ბიბილაძე. კბილის 8—9 საათ.
გ. გ. მაღალაშვილი. შინაგანი ოთხშაბ. 9—10 საათ. და კვირაობით 9—11 საათ.
ა. ი. ბალარჯიშვილი.—ბავშვებისა. 9½—10½ ს.
ნ. ი. მუღნი.—ყურისა, სასისა და ცხვ. 10—11.
ი. დ. დაუბაშიძე.—შინაგ. სამშ., ხუთშ., პარასკ. და შაბათობით 11—12.
ძ. მ. მაჩაბელოვი. შინაგ. და ბავშვ. 12—1.
დ. ა. გედევანიშვილი.—შინაგანი, და ნერვებისა 12—1 ს.
ქალი მ. კ. იოსელიანი.—ქალისა და საბებიო, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 ს.
ა. ნ. დიასამიძე.—ვენერიული და კანისა 12½—1½ საათ.
ს. ს. ალექსი-მესხიშვილი.—ქირურგია 1—2.
საღამოს:
ს. ი. მაჭაძე.—შინაგ. 6—7 საათამდე.
ოპერაციების გაკეთება შეუძლიანთ გარეშე ექიმ-ქირურგებსაც.
ავადმ. რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ., საავადმყოფოს აქვს ოცი საწოლი. სამკურნალოში ოპერაციები მორიგებით. კრავატები დღეში ერთის 2-დან სამ მანეთამდე. საზოგადო და ნომერი—5 მან.
ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (კუკიის ხიდიდან მეცხრე სახლი) სახლი აბრამოვისა, № 9. მიხეილის ქუჩიდან-კი 84 Б.
ტელეფონი № 274.

კბილის ექიმი
ე. ი. ბალარჯიშვილი
იღებს ავადმყოფებს 10—3 საათამდე და 5—7 მიხეილის ქუჩა № 115. გერმანელთა ტაძრის გვერდით. (307—28—2)

ბავშვების ექიმი
ა. ი. ბალარჯიშვილი
კიევის უნივერსიტეტის ბავშვთა სნეულებათა კლინიკის ორდინატორად ნამყოფი იღებს ავადმყოფებს მხოლოდ 15 წ. ასაკამდე ყოველ დღე 11—12 წ.
მიხეილის პრ. № 115. ნემეცების ეკლესიის პირდაპირ ტელეფ. 729. (30—91—18)

კბილის ექიმი
ივანე პ. ახალშენიშვილი
ბინაა და: ნიკოლოზისა (№ 32) და ხიდისა (№ 21) კუთხეში, აფხაზის ქ. დასაწყისში, სახლი ლაზარაშვილისა. ავადმყოფებს იღებს 9—2 და საღამოს 5—7. კვირა-უქმით 10—1-მდე!.

ექიმი
ზ. ი. ტერ-გრიგორიანცი
შინაგანთა, სპეციალისტი გულისა და ბავშვების ავადმყოფობის, რენტგენის სხივის კაბინეტი. დილის 10—11 საათ. და 5—7 საღ. მიხეილის პრ. № 545 ტელეფონი № 825. (90—296—17).

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან"

24 მარტი

ლონდონი, 24 მარტი. იაპონიის საელჩომ ტოკიოდან მოსული ოფიციალური დეპეშა გამოაქვეყნა, თანახმად შინაგან სესხის საბოლოო დაანგარიშებისა. ხელის მოწერით საერთოდ შეკრებილა 485,876,250 იენი.

ტოკიო. მაისის პირველ რიცხვებში იაპონელები მეხუთე ას მილიონ იენიან სესხს გამოუშვებენ იმავე პირობებით, როგორც მეოთხე იყო.

მოსკოვი. პეტერბურგის ნაფიცმა ვექილებმა 3 ათასი მანეთი გამოგზავნეს საერთო საერობო ორგანიზაციისთვის. წითელი ჯვარი ამზადებს პროექტს მცხოვრებთათვის წამლების დასარიგებელ ცენტრალურ საწყობისას.

ტოკიო. ოფიციალური. 22 მარტს იაპონელთ რაზმმა დაიჭირა გაიუშუ ხუთ მილის მანძილზე მინხუაგაიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით. 22 მარტს რუსის ჯარებმა იერიში მიიტანეს ცინხიატუნზე, მაგრამ უკუგდებულ იქნენ. იაპონელებს 27 კაცი დაუჭრეს. ჰფიქრობენ, რუსებმა 200 კაცზე მეტი დაჰკარგესო.

ლონდონი, 24 მარტი. გრაფ პერსი ამბობს მაროკოს საკითხის შესახებ, გერმანიისთვის არ უცნობებიათ ოფიციალურად ინგლის-საფრანგეთის კონვენცია. საზოგადოთ გერმანიასა და ინგლისს არავითარი ცნობები არ მიუწოდებიათ ერთმანეთისთვის კონვენციის შესახებო.

25 მარტი

პეტერბურგი. მთავარ-სარდლის შტაბის გენ.-კვარტირმეისტერს გენ.-მაიორ ევერტის ებოძა გენ.-ლეიტენანტობა და დაინიშნა მანჯურიის პირველ არმიის საველე შტაბის უფროსად.—დაინიშნენ: ციმბირის ქვეითა მეორე დივიზიის კომანდირი გენ.-მაიორი ოგანოვსკი—მანჯურიის პირველ არმიის კვარტირმეისტერად; კავკასიის სამოქალაქო ნაწილის მთავარ-მმართველის თანაშემწე გენ.-ლეიტენანტი მალამა—მისის უდიდებულების კავკასიის ნამესტნიკის თანაშემწეთ სამხედრო საქმეებში; მანჯურიის პირველ არმიის გენ. კვარტმეისტერი გენ.-მაიორი ოგანოვსკი მთავარ-სარდლის შტაბის გენ.-კვარტმეისტერათ და გენ.-მაიორი ვოგაკი სამხედრო აგენტად ლონდონში.—საზღვაო მთავარ-შტაბის პირველ რანგის კაპიტან ზილოტის გამოეცხადა სასტიკი გაკიცხვა იმისთვის, რომ მან მოათავსა გაზეთ „რუს"-ის მე-73 ნომერში ნაწყვეტები გენ.-ადიუტანტ როჟესტვენის წერილიდან.

ტოკიო. ოფიციალური. რუსეთის ძლიერმა ჯარებმა იერიში მიიტანეს იაპონიის პოზიციებზე ჩრდილოეთ-დასავლეთით ჩანტუდან. მაგრამ მოგერიებულ იქნენ.

ჰამბურგი, 24 მარტს. ოსტაფრიკაში გზავნიან 30 აფიცერს და 350 უბრალო ჯარის კაცს. იქ კიდევ მომხდარა რამდენიმე შეტაკება ადგილობრივ მკვიდრებთან.

პეტერბურგი. პეტერბურგის ოლქში სასამართლოში თანამდებობის მისაღებათ ჩარიცხული კანდიდატები შეუდგნენ განსაკუთრებით კორპორაციის შექმნას, რომელსაც მიზნად ექნება ნაფიც ვექილთა თანაშემწეების შეერთება.

ტოკიო. ომის დაწყებიდან დღემდე მოკლულ მეზღვაურთა ოჯახებს დაურიგეს 110 მილიონი იენი. აქ ის აზრია დამყარებული, რომ აპრილის ნახევარ რიცხვებში გენერალური შეტაკება მოხდებაო.

პარიზი. მეფე ედუარდი და პრეზიდენტი ლუბე, როგორც ეტყობოდა, ძლიერ კმაყოფილნი იყვნენ და მაგრად ჩამოართვეს ხელი ერთმანეთს; გამოთხოვებისას მეფე ედუარდმა ხმა მაღლა უთხრა ლუბეს: „ბედნიერი ვარ გამოგიცხადოთ ჩემი მადლობა ამ მოგზაურობისთვის".

პარიზი. ხმა გავრცელდა, გაჩხრიკეს ყოფილ პოლკოვნიკ მარშანის ბინაო. ამ გაჩხრეკას, ჰფიქრობენ, კავშირი აქვს კაპიტან ტამბურინის დატუსაღებასთანო. პოლიცია კი არღვევს ამ ხმებს.

ტოკიო, 25 მარტი, ოფიციალურად. რუსის ქვეითა ჯარის ორი როტა ტაოლუს რაიონიდან დასავლეთისაკენ გაემართა და 23 მარტს დილით ტაისეოში დადგა. იმ რუსის რაზმის მომეტებულმა ნაწილმა, რომელმაც იერიში მიიტანა სინჩაოტუნზე, სუმენჩენისაკენ დაიხია, დანარჩენი ნაწილი ფიანხუანსიანის გზით წავიდა. იმავ დღის საღამომდე სიმლეტუნის სამხრეთით რუსების კვალიც აღარ დარჩა.—დღეს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარესთან გრაფ კაცურასთან საყურადღებო თათბირი მოხდა. თათბირმა 5 საათს გასტანა. თათბირს დაესწრნენ მარკიზი იმაგატა, გრაფი მატცუკატა, გრაფი ინუიდი და გარეშე საქმეთა, სამხედრო და საზღვაო მინისტრები.

კანეია, 22 მარტი. კანეიაში სტაკიანაკისაგან წარმოთქმულ სიტყვას ავრცელებენ. დაბეჭდილი ფურცლები წაართვეს ჟანდარმებმა, მაგრამ შემდეგ ეს ბრძანება შესცვალეს, რადგანაც იგი ძალდატანებითად ჩასთვალეს. რეტიმნოში, სადაც აჯანყებულთა თანამგრძნობი კრებები იმართება, რამდენიმე კაცი დაიჭირეს. აჯანყებულებს თანაუგრძნობენ აგრეთვე ლასიტიონში. აქ ამ ჟამად მხოლოდ ინგლისის ერთად-ერთი კრეისერი-დგას.

განჯა, 22 მარტს. ღამით ზანგეზურის მაზრაში მოჰკლეს მასწავლებელი პილენკო და დასჭრეს მასწავლებელი კოლესნიკოვი. ეჭვი სოფ. ხინზირაკის სომხებზე აქვთ მიტანილი.

მოსკოვი, 24 მარტი. მოსკოვის გრადონაჩალნიკმა ნება დართო მუშებს, შეიკრიბონ სახალხო სახლში.

ბერლინი, 24 მარტი. გერმანიის სხვა-დასხვა კუთხეებში საშინელი ქარიშხალი და ქარ-ბუქი მძვინვარებს. ქარიშხალს ქუხილიც თან ახლავს. ბევრი კაცი დახოცა მეხმა.

25 მარტი

რომი. მეფე შუადღის დროს ნეაპოლს მივიდა. თან ახლდნენ გარეშე საქმეთა და საზღვაო მინისტრები. მეფე ვაგზლიდან პირდაპირ არსენალში წავიდა. არსენალიდან მეფე იახტა „ჰოჰენცოლერნ"-ზე მივიდა, სადაც იმპერატორი ვილჰელმი და პრინცი ადალბერტი დაუხვდნენ. იმპერატორი და მეფე გულწრფელად შეჰხვდნენ და მოეხვივნენ ერთმანეთს. 12½ საათზე საუზმე მიირთვეს და შემდეგ იტალიის გემ „დედოფალ მარგარიტა"-ზე წავიდნენ. იტალიური პრესა სალამს უძღვნის იმპერატორს, თუმცა ერთხმად აცხადებს, რომ იმპერატორის მოსვლას პოლიტიკური ხასიათი არა აქვსო.

ლონდონი. მოვიდა გემი „ელსტონი", რომელიც რუსებმა წარსულ 3 ივლისს დაიჭირეს და 5 თვეს ვლადივოსტოკში ჰყავდათ. გემის მეზღვაურები ამბობენ, რუსები კარგ საჭმელს გვაძლევდნენ და თავაზიანად გვექცეოდნენო.

სარატოვი. გუბერნატორმა გამოსცა დადგენილება, რომლითაც აკრძალულია იარაღის ტარება ქუჩებსა და საზოგადო ადგილებში სარატოვსა, ცარიცინსა და ვოლსკში. ვინც ამ დადგენილებას არ აასრულებს, 3 თვით დაპატიმრებენ და 500 მანეთამდე ჯარიმას გადაახდევინებენ.

კანეია, 24 მარტი. ყველა საერთაშორისო ჯარი, რუსის პოლკის გარდა, ალიკიანში წავიდა, რომ კანეის გარედ სადარაჯოდ დადგეს. საფრანგეთის კანონიერო გემი „კონდორი" სიდიას წავიდა; იქ სახვალიოთ დემონსტრაციის მოხდენას აპირობენ. კრიტის ხალხი ძლიერ უკმაყოფილოა იმის გამო, რომ დიდმა სახელმწიფოებმა არ დააკმაყოფილეს ხალხის სურვილი და კუნძული კრიტი საბერძნეთს არ შეუერთეს. რუსის ჯარის მოთხოვნით რეტიმნოში ჩამოუშვეს აჯანყებულების მიერ გამოგზავნილი საბერძნეთის ბაირაღი. ტერისოს ახლო მდგომი აჯანყებულნი ხვალ კანეაში მოსვლას აპირებენ საბერძნეთის დამოუკიდებლობის გამოცხადების წლის თავის სადღესასწაულოდ.

ბერლინი. რეიხსტაგი 22 მარტამდე დაიხურა. „ფოსიშე ცაიტუნგ"-ი მთავრობის ბაგანებით აცხადებს, რომ გერმანიის ელჩს ვაშინგტონში შეერთებულ შტატების მთავრობისათვის არც ნოტა ჩაუბარებია, არც მემორანდუმი გერმანიის მოქმედების შესახებ მაროკოს საქმეში. აქედან სჩანს, რომ გერმანია არ აპირობს ამერიკის მთავრობის მომხრობას მაროკოს საქმეში. იმ აზრის გამო, რომ მაროკოს საქმე კონფერენციას გადაეცეს გადასაწყვეტადო, „ფოსიშე ცაიტუნგ"-ი შენიშნავს, ძნელი გამოსაცნობია ეხლა, ასრულდება თუ არა ეს აზრი, მაგრამ ყოველ შემთხვევაში გერმანია არ აპირობს კონფერენციის მოწვევას. დასასრულ გაზეთი სწერს: ამბობენ, ვითომ გერმანია მაროკოს ფულის სესხებას დაჰპირდა საფრანგეთის ფულის მოსაშორებლადაო, მაგრამ გინდ ამნაირი მოლაპარაკება გამართულიც ყოფილიყოს, ამ საქმეში გერმანიის იმპერიის მთავრობას შუამდგომლობა არ გაუწევია. მაროკოს ვალი სულ 20 მილიონს შეადგენსო.

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან"

43 მარტი

გუნჩულინი, 23 მარტი. კაუჩენცზაში იაპონელების ორი ჯაშუში დაიჭირეთ,—აფიცერი-კავალერისტი, ერთი სალდათი და ორიც მათი მხლებელი ჩინელი. ოთხივე გირინის მიდამოებს ზვერავდნენ. აფიცერი მშვენივრად ლაპარაკობს ნემეცურად და მკვირცხლად უჭირავს თავი. ყველანი ჩამოხრჩობილ იქნებიან. იაპონელები პოზიციებს ეძებენ დასამყარებლად, ძალებს იკრეფენ და გაფაციცებით ზვერავენ ჩვენს პოზიციებს.

ვაშინგტონი. 24 მარტი. შტატების მთავრობამ აცნობა რუსეთს, ამერიკის პეკინელი ელჩი იუწყება, ჩინეთში გამართულ მოძრაობას ევროპიელთა წინააღმდეგ არავითარი საშიშარი ხასიათი არ აქვსო.

25 მარტი

პეტერბურგი, 24 მარტი. ოფიციალური. სენატორ კუზმინსკიმ განმარტა, მან რევიზია უნდა უყოს ყველა დაწესებულებებს ქალაქ ბაქოსა და მის გუბერნიაში, აგრეთვე ბაქოს ქალაქის საზოგადო და გუბერნიის საჟანდარმო სამმართველოებსაც. ამ რევიზიაში უნდა იხელმძღვანელოს კუზმინსკიმ რევიზორ სენატორთადმი ინსტრუქციის იმ დებულებით, რომელნიც თანამდებობის პირთ პასუხისგებაში მიცემას შეეხებიან (1857 წლის სასენატო დაწესებულების პირველ ტომის მე-153-ე მუხლის დამატების მე-23-ე მუხლით). რევიზორ სენატორს უფლება ეძლევა მოითხოვოს განსახილველად კავკასიის საერთო სამმართველოს დაწესებულებიდან ის საქმეები, რომელთაც დამოკიდებულება ექნებათ რევიზიის საგანთან, 1880 წ. 22 სექტემბრის უმაღლეს ბრძანების მეორე პუნქტის მიხედვით. (1880 წ. კანონთა კრებულის, 97 ნუმერი, მუხლი 738).

ბერლინი, 24 მარტი. „ნორდდოიტშე" არღვევს „ტან"-ის ცნობას, ვითომც იმპერატორ ვილჰელმის დარბაზობას ტანჟერში მიზნად ჰქონდეს უკმაყოფილების გამოცხადება რუსეთისთვის, იმიტომ რომ ამ უკანასკნელმა არ მიიღო გერმანიის რჩევა ზავის ჩამოგდებაზე იაპონიასთანო.

სტოკჰოლმი, 24 მარტი. პრინცმა რეგენტმა შეიტანა შეერთებულ საბჭოში თხოვნა ნორვეგიისა და შვეციის სახელმწიფო საბჭოთადმი, დაუყოვნებლივ განაახლონ მოლაპარაკება იმ საქმეების განხილვის ახალი წეს-რიგზე, რომელიც ორივე მხარეს შეეხებიან, სრულ თანასწორობის საფუძველზე. გარეშე საქმეთა მინისტრად ერთი კაცი უნდა იყოს, ორივე სახელმწიფოს თავიანთი კონსულები ეყოლებათ, რომელნიც გარეშე საქმეთა მინისტრის ხელმძღვანელობით იმოქმედებენ.

ტოკიო, 25 მარტი („რეიტ."). რუსის რაზმის უმთავრესმა ნაწილმა ცზინცზიანტუნთან მოქმედების შემდეგ სუმიანჩუნში დაიხია, დანარჩენი ცენხუას გზის გასწვრივ წავიდა. 23 მარტს საღამოს სინლინტუნის სამხრეთით, 8 მილის მანძილზე ჩანტუნის ჩრდილოეთით, რუსები აღარ იყვნენ. რუსეთის მცირე რაზმი ტაისიუში დგას ევანანპუმინის აღმოსავლეთით 26 მილზე.

პარიზი, 25 მარტი. დელკასემ განაცხადა დეპუტატთა პალატაში, მთავრობამ დიდი ხანია განმარტა თვისი პოლიტიკა მაროკოში. ინგლის-საფრანგეთის შეთანხმებას არ შეუძლიან საშიში რამ გამოიწვიოს. ისეთი ცვლილება არ მომხდარა, რასაც საშიშარი რამ მოჰყვეს. მაროკოში მოლაპარაკების დროს ჩვენ რჩევას ვაძლევდით მას და ეხლაც ვაძლევთ, როგორც მეგობრები, რომელთაც საფუძველი აქვთ უსურვონ საკითხის ჯეროვანი გადაწყვეტა. კვლავაც ეგრე მოვიქცევით, არა გვსურს ვისმესთვის ზიანის მიყენება და მზათა ვართ ყოველგვარი გაუგებრობა განვიხილოთ. მეტის არაფრის მიმატება არ შემიძლიანო. მთავრობა წინადადებას იძლევა, გადაიდოს მაროკოს საკითხიო. წინადადება მიიღეს. „ტან"-ი ამტკიცებს, მადრიდის 1889 წ. კონვენციის შესახებ მოლაპარაკების დროს, რომლითაც გერმანიის პრესსა ამართლებს გერმანიის პოლიტიკას, გერმანიამ განაცხადა, რომ მას უმნიშვნელო ინტერესი აქვს მაროკოში და მისი წარმომადგენელი საფრანგეთის წარმომადგენლის მიხედვით უნდა იქცეოდესო.

პეტერბურგი. 25 მარტი. ხარკევიჩის დეპეშა მთავარ შტაბს 25 მარტის თარიღით: „ჩვენმა მოხალისეებმა უკან დაახევინეს იაპონიის ცხენოსან რაზმს ერდახეცზიდან ცულუშში. ერთი ჩვენ რაზმთაგანი 22 მარტს დილით მივიდა ცზინცზიანტუნთან და შეებრძოლა მტერს, რომელსაც რაზმში 6 ათასი ხუნხუზი ჰყავდა. რა შედეგი მოჰყვა ბრძოლას, ჯერ არაა გამორკვეული".

მოსკოვი, 24 მარტი. უმაღლესს სასწავლებლების წარმომადგენელთა თათბირზე, რომელსაც თავმჯდომარეობდა მოსკოვის სამოსწავლო ოლქის მზრუნველი, გამოირკვა, უმაღლესს სასწავლებლების [illegible] მდგომარეობა მჭიდროთ შეკავშირებული რუსეთის ცხოვრების საერთო კრიზისთანაო. სასწავლებლების ცხოვრება მხოლოდ მაშინ ჩადგება სასურველ კალაპოტში, როცა სახელმწიფოში არსებული წეს-რიგი შეიცვლებაო. სამაზრო ერობებმა შუამდგომლობა

აღძრეს, ნებს მოგვეცით მოვიპატიჟოთ სამსახურში ექიმი-სტუდენტები, რადგანაც ექიმები შემოგვაკლდნენო.

მოსკოვი, 24 მარტი. პიროგოვის სიეზდის რეზოლიუციით, შეუძლებელია ექიმმა მონაწილეობა მიიღოს სასანიტარო-აღმასრულებელ კომისიებში, თუ 1903 წლის წესები ძალაში არიანო.

ტომსკი, 24 მარტი. დასავლეთ ციმბირის ოლქის მზრუნველი აცხადებს, უნივერსიტეტში, იურიდიულ კომისიაში გამოცდას 27 აპრილს დაიწყებენ და თხოვნები 14 აპრილამდე მიიღებიანო.

ასტრახანი. ჩეჩენის კუნძულზე ქარიშხალმა ზღვიდან გამოაგდო 6 იალქნიანი შხუნა, მაზუთით დატვირთული. ზოგი შხუნის მეზღვაურნი გადაარჩინეს.

ლაჰორი. კაშმირში, დალჰუზიაში, პავკალში და მალორკოტლში მთლად დაუნგრევია მიწის ძვრას ყველაფერი. ბევრი კაცი უმსხვერპლნია. ტელეგრაფი ვერ მუშაობს რიგზე.

ვარშავა, 24 მარტი. განზრახვა ჰქონდათ დღეს დაესაფლავებინათ კვირას სალდათებისაგან დახოცილები, რამაც აუარებელი ხალხი შეკრიბა დღეს სულის წმინდის გოსპიტალთან. ბრბო გაჰფანტეს. დამარხვა სხვა დროისთვის გადასდეს. პაბიანიცაში კრუშენდერის ფაბრიკაში მუშა ქალების მოწამლვის მიზეზი თაგვის შაქარი ყოფილა, რომელიც განზრახ მოეყარნათ იატაკზე.

25 მარტი

ბომბეი, 24 მარტი (რეიტ.). „ტაიმს-ოფ-ინდია“ იუწყება ამუ-დარიის ზემო ნაწილში ყველა პოსტებზე, შუღნანში და როშანში რუსების მაგივრად ბუხარის ჯარები ჩააყენეს: მერვის გარნიზონიდან 4000 კაცი კუშკასა და მურგაბში გაგზავნეს. მერვიდან წაყვანილ ჯარების მაგიერ იქ ორენბურგის ჯარები წაიყვანეს. კერძო ცნობებით პამირის პოსტებზე ჯარების გაძლიერებას დამატებით შენობების აგება მოჰყვება.

ვაშინგტონი. საფრანგეთის ელჩმა ჟუსრანმა აცნობა მინისტრ ტაფტს, მაროკოში ღია კარების პოლიტიკის მომხრე ვართო. საფრანგეთი არ შესცვლის ამ პოლიტიკას. ტაფტმა აცნობა ჟუსრანს, გერმანიის ელჩის ნოტა რუზველტს გაეგზავნაო.

პარიზი, 25 მარტი. დეპუტატმა რაბიემ აუწყა აღმოჩენილ შეთქმულების შესახებ, როშფორის გარნიზონის კაპიტანმა აცნობა წინდაწინ წერილით 10 თებერვალს, ზოგიერთ პოლკებში ოფიცრებს გაჰქავს ურჩევენ, რადგან შეთქმულობა რესპუბლიკის წინააღმდეგაო. ერთის თვის შემდეგ რაბიემ მეორე წერილი მიიღო იმავე კაპიტნისაგან, რომელიც დაჟინებით ამბობდა, ჩემგან ნაუწყები ფაქტები სერიოზულია და დასძენდა, საქმეში ურევია უმაღლესი ოფიცერი, რომელსაც გენ. ანდრესთან შეტაკება ჰქონდაო. რაბიემ აცნობა ამ წერილების შესახებ მინისტრ პრეზიდენტ რუვიეს. რუვიემაც მიიღო ამგვარი მოსაზრება ერთ ოფიცრისაგან. ამბობენ, შეთქმულება ასეთი იყო: უცბად უნდა დასცემოდნენ ელისეს სასახლეს, მინისტრებს, პალატისა და სენატის პრეზიდენტებს და ჩამოეგდოთ მთავრობა პრინც ვიქტორ ნაპოლეონის სასარგებლოდ.

ბელგრადი, 25 მარტი. მეფის სეკრეტარი ველუჯიჩი, რომელსაც ციხეში ჩამწყვდევა ჰქონდა გადაწყვეტილი, ზემლინში გაიქცა.

ვიბორგი. გათავდა გამოძიება ვიბორგის გუბერნატორის მოკვლის განზრახვის შესახებ. დამნაშავენი როინიკე, რისსინენი და პროკოპე ვიბორგის სატუსაღოში გადაიყვანეს. საქმე სასამართლოში გადაეცემა- [illegible].

კალკუტა. დარისალში მიწის ძვრამ მოჰკლა ბავშვი ევროპიელი და 140 სალდათი; 71 კაცი უკვალოდ დაიკარგა.

ჟურნალ გაზეთებიდან

შუა მანჯურიაში. 24 და 25 მარტს მიღებულ დეპეშებიდან სჩანს, რომ იაპონელებს 22 მარტს მანდარინის გზაზე მანხუანგაის ჩრდილოეთით 3 მილის მანძილზე სოფ. გაიუიშუ დაუჭერიათ. რუსებს იერიში მიუტანიათ იაპონელებზე ცზინცზიანტუნთან, (კაიუანის დასავლეთით, დაახლოვებით 40 ვერსტზე), მაგრამ იაპონელებს მოუგერებიათ და რუსებს ჩრდილოეთისაკენ დაუხევიათ. საყურადღებო ბრძოლა არ მომხდარა.

რუსის კორესპონდენტები ერთხმად იუწყებიან, გვგონია იაპონელები გვერდიდან უვლიან რუსის ჯარსაო.

იაპონელების გალაშქრება ვლადივოსტოკისაკენ. ასე ერთის თვის წინად დეპეშამ გვაცნობა, იაპონელებმა ჯარი გადაიყვანეს შენჩჟინშიო. შენჩჟინი, ანუ სიონჩინი ვლადივოსტოკიდან 350 ვერსტის მანძილზე მდებარეობს სამხრეთით და გენზანიდან 180 ვერსტზე ჩრდილოეთით. „რუსკოე სლოვო“-ს კორესპონდენტი ბ. ვერეეცი 22 თებერვლის თარიღით იუწყება ვლადივოსტოკიდან: ჯერ კიდევ იანვრის გასულს იაპონელებმა ჯარი გადაიყვანეს გენზანში; ამ ჯარის ნაწილი ხმელეთით წავიდა ჩრდილოეთისაკენ, მეორე ნაწილი პატარა გემებით ზღვით წავიდა და თებერვლის დამდეგს შენჩჟინში გადავიდა. ამაზე პირველ მოვინდომე ცნობის გამოგზავნა, მაგრამ ცენზურამ არ გაუშვაო.

ამას წინად „ნიუ-იორკ ჰერალდ“-ის კორესპონდენტიც იუწყებოდა, იაპონელებმა შენჩინში ჯარი გადაიყვანეს და იაპონელმა გენერალმა იქ გაიმართა მთავარი სადგომიო.

იაპონიის ჯარი, ეტყობა, შენჩჟინიდან ვლადივოსტოკისაკენ წასულა. გენ. ხარკევიჩი იუწყებოდა 24 მარტს: კორეიაში კილიჩჟუს გზაზე ჩვენს ჯარს შეტაკება მოუვიდა იაპონიის ჯართანაო. კილიჩჟუ შენჩჟინის ჩრდილოეთით მდებარეობს, დაახლოვებით 30 ვერსზე, ვლადივოსტოკის გზაზე...

იაპონიის ახალი სამხედრო სესხი. „ნ. ფრ. პრესე“-ს ატყობინებენ ლონდონიდან: პირველ დღესვე, როცა ბანკებმა ხელის მოწერა გამართეს იაპონიის ახალ სესხზე, ხელის მოწერამ ერთი ათად გადააჭარბა სესხის სუმას. ნიუ-იორკსა, ჩიკაგოსა და ბოსტონშიაც აუარებელმა ხალხმა მოაწერა სესხს ხელი. „ტაიმს“-მა იანგარიშა, იაპონიას ეხლა შეეძლო ინგლისსა და ამერიკაში ასი მილიონი იენი-კი არა, ათას რვაას მილიონი იენი ესესხა, ესე იგი სწორედ იმდენი, რამდენიც ხუთის წლის ომისათვის დასჭირდებაო. („ო. ნ.“).

ტყუილი ცნობა. ამას წინად „რუსეთის სატელეგრაფო სააგენტომ“ გვაცნობა, ვლადივოსტოკში ხალხს ძლიერ სწყინს ზავზე ლაპარაკიო. ამის თაობაზე „რუსკოე სლოვო“-ს დეპეშით ატყობინებენ ვლადივოსტოკიდან: „აქაური გაზეთები პროტესტს აცხადებენ ასეთ სიცრუის წინააღმდეგ. „ნიკოლსკ-უსურიისკი ლისტოკ“-ი სწერს: ამისთანა ცნობის გაგზავნა მხოლოდ იმას შეეძლო, ვისაც სულ არ აქვს ზნეობა, კაცთ-მოყვარეობა და პასუხის გების გრძნობა. „რუსეთის სააგენტოს“ დეპეშამ მთელს პროვინციას ზნეობრივ გრძნობის უქონლობა დასწამა. საზარელ, მრისხანე ამბების დროს სისხლის მწოველი აგენტი ომის გაგრძელებას თხოულობს. „ეს სიგიჟეა, თუ გარყვნილება“ ასე ასრულებს წერილს გაზეთი“.

აქედან ცხადად სჩანს, რომ უსურის ოლქის მცხოვრებთაც გულ-წრფელად სწადიანთ შერიგება და სისხლის ღვრის მოსპობა.

ეროვნება და სიყვარული

[illegible]

ნაციონალიზმის დამყარება სიყვარულზე, როგორც წინა წერილში გავარკვიეთ, აუცილებლად მოასწავებს კონსერვატორობას და შოვინიზმს, მაგრამ ეს სრულიად იმას არა ჰნიშნავს, ვითომც ეს ორი სამარცხვინო თვისება განუყრელის კავშირით იყოს შეერთებული ნაციონალიზმთან, რომელსაც უიმათოდ ყოველივე აზრი და საფუძველი უნდა დაეკარგოს. ნაციონალიზმის თვით უკიდურესი მტერიც კი ვერ იტყვის, რომ ქვეყანაზე მარტო ერთი ეროვნება ე. ი. კაცობრიობა არსებობდეს და სხვა-და-სხვა ერების ყოფნა შოვინისტების ფანტაზიის ფუჭს ნაყოფს შეადგენდეს. პირიქით, ყველა თვალ-ხილულ ადამიანისათვის ცხადზე უცხადესია, რომ მთელი კაცობრიობა სხვა-და-სხვა ერებად არის დაყოფილი და დანაწილებული, თითოეული ერი მეორისაგან განსხვავდება და ამ საგნის შესახებ შესაძლოა მხოლოდ გაჩუმება და არა თვით ეროვნებათა არსებობის უარ-ყოფა. გაჩუმებით მძიმე საკითხების გადაჭრა რამდენადაც ადვილია, იმდენადვე უნაყოფოა და მავნებელი, ამიტომ ეროვნული საკითხი მთლიანად უნდა იქმნას გამორკვეული და არა ისე, როგორც ზოგიერთი ჩვენებური მოღვაწე სცდილობს. თუ ეროვნების საფუძველს მართლა სიყვარული შეადგენს, უეჭველია ნაციონალიზმი დასაგმობად და უარსაყოფელ მიმართულებად უნდა ვაღიაროთ და მიზნად ეროვნულ სხვა-და-სხვაობათა მოსპობა დავისახოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში კი ნაციონალიზმისთვის სხვა ნამდვილი ნიადაგი უნდა ვიპოვოთ. ვინც ნაციონალიზმს სიყვარულზე ამყარებს, ლოღიკურად იმას არავითარი უფლება არა აქვს პრინციპიალურად დაჰგმოს, მაგალითად, სისტემა გარუსების პოლიტიკისა, ქართულის ენის დევნისა და სხვა, რადგან ეს სისტემა ეროვნულ სხვა-და-სხვაობის მოსასპობად არის შემოღებული, თუ იმავე დროს შოვინიზმს და კონსერვატორობას არ გამორიცხავს ეროვნულ მოძღვრებიდან. ამ გვარად ყოვლის უწინარეს გადაშინჯულ უნდა იქნას ეს მოძღვრება და უნდა გამოირკვეს, რამდენად მართალია ის აზრი, რომ ეროვნების საფუძველს თავისიანის სიყვარული შეადგენს.

ჩვენის ფიქრით, ძნელი წარმოსადგენია სხვა იმდენად ცხოვრებასა და სინამდვილესთან შეუთანხმებელი მოძღვრება, როგორიც სიყვარულის ნაციონალური თეორიაა. ამ თეორიით, ეროვნება ისეთი საზოგადოებრივი ერთეულია, რომლის წევრთა შორისაც კავშირი სიყვარულზე და საერთო შეგნებაზე არის დამყარებული. ამ გვარის განმარტების სისუსტეს ყველა ადვილად და უბრალოდ დაინახავს: ქართველს არაფერი არ უშლის ფრანგი უყვარდეს და ისეთივე შეგნება ჰქონდეს, როგორც ფრანგს, მაგრამ ქართველი და ფრანგი მაინც ერთს ეროვნებას არ შეადგენენ, ისინი მაინც სხვა და სხვა ეროვნების წევრები იქნებიან. აი, ამ უკუღმართობის გასასწორებლად ნაციონალისტები თავის [illegible] სიტყვას „ეროვნული“ ან „ნაციონალური“, მაგრამ, მათდა სამწუხაროდ, ამ დამატების წყალობით ეროვნების განმარტებას ყოველივე აზრი და მნიშვნელობა ეკარგება, რადგან „ეროვნების“ ახსნა „ეროვნულის“ საშუალებით ლოღიკური წყლის ნაყვაა, არც მეტი, არც ნაკლები. შხამში ისეთი ნივთიერებაა, რომელიც ადამიანს ჰშხამავსო, ამბობდა ერთი სქოლასტიკი, და ნაციონალისტებიც სწორედ ასევე იქცევიან, ეროვნება ეროვნულიაო... რა თქმა უნდა, ეროვნება ეროვნულია, მაგრამ ისიც მართალია, რომ ეს ახსნა კი არა, ერთისა და იმავე სიტყვის სხვა და სხვა თქმაა და არა ცნების განმარტება.

ერთისა და იმავე ეროვნების წარმომადგენელთ ხშირად დიდი საფუძველი აქვთ ერთმანეთი სიყვარულის მაგიერ შეიძულონ, ერთისა და იმავე შეგნების მაგიერ სხვა და სხვა შეგნება იქონიონ, მაგალითად მუშათა კლასს და ბურჟუებს უეჭველია ერთმანეთი არ უყვართ, საერთო შეგნება არა აქვთ, მაგრამ სასაცილო იქნება, რომ ინგლისელი ან მარტო ინგლისელს მუშას ვუწოდოთ, ან მარტო ინგლისელს ბურჟუას, როდესაც ორივე ინგლისელები არიან და ორივე თავის თავს ინგლისელად სთვლის. ჩვენში მესამე დასის სახელით ცნობილი აზროვნების მიმართულება სრულიად მართალია, როდესაც ამტკიცებს, ეროვნულ მიმართულებასთან არაფერი კავშირი არ მინდა ვიქონიოვო, მართალია, რადგან, ჩვენი ნაციონალისტების თეორიით, ქართველ ეროვნებას მხოლოდ ის პროლეტარი ეკუთვნის, რომელსაც ისეთივე შეგნება აქვს, როგორც ქართველს კაპიტალისტს, რომელსაც გულში ქართველ კაპიტალისტის სიყვარული აქვს. სწორეთ ასეთივე უფლება აქვთ ქართველ კაპიტალისტებს და მემამულეებს განაცხადონ, ეროვნებასთან კავშირი არ გვინდაო, რადგან არც იმათ შეუძლიანთ მუშის ინტერესებით, მუშურის შეგნებით და მათდამი სიყვარულის გრძნობით გაიმსჭვალონ. ამ გვარად, ნაციონალისტებმა თუ მტკიცედ მისდიეს თავის თეორიის საფუძველს, ეროვნება უეროდ უნდა დარჩეს, ეროვნულ საზოგადოებრივ ერთეულიდან ყველა ცოცხალი ადამიანი უნდა გამოირიცხოს.

ერთის მხრივ საერთო შეგნება და სიყვარული შესაძლოა სხვა-და-სხვა ეროვნების წარმომადგენელთა შორის, მეორე მხრივ ერთისა და იმავე ეროვნების წარმომადგენლებს შესაძლოა ერთმანეთი არ უყვარდეთ და სხვა და სხვა შეგნება ჰქონდეთ. ამ გვარად ნაციონალისტების განმარტება ერთის მხრივ მეტად ფართოა, მეორე მხრივ მეტად ვიწრო, და როდესაც ამ უსწორმასწორობის გამოსაკეთებლად განმარტებაში შეაქვთ სიტყვა „ეროვნული“, მაშინ თვით განმარტებას ყოველივე აზრი ეკარგება.

დასაბამი ასეთის არეულობისა ის უბრალო გარემოებაა, რომ ეროვნება განმასხვავებელ მომენტის აღმნიშვნელი ცნებაა, სიყვარული და შეგნება-კი საყოველთაო. რაც სხვა-და-სხვაობის შინაარს შეადგენს, იმისი გაზოგადოება ყოველთვის უკუღმართობამდე მიგვიყვანს. სხვა-და-სხვაობა თავის თავად კერძოობაა, ნაციონალისტებს კი აზრად ამ სხვა-და-სხვაობის ზოგადობად გადაქცევა აქვთ. ამ გვარად ის აზრი, ვითომც ეროვნების საფუძველს სიყვარული და საერთო შეგნება შეადგენდეს, შემცდარი შეხედულებაა და სიყვარულზე ნაციონალიზმის დამყარება ეწინააღმდეგება როგორც სინამდვილეს, აგრეთვე თეორიულ აზროვნების აუცილებელს პირობებს.

გ. რ.

სოფლად

ოფიციალური ცნობა

(„კავკაზ“-ი № 80.)

გორის მაზრაში გლეხთა მოძრაობის შესახებ შემდეგი ცნობებია მიღებული, 14 მარტს გლეხები თავს დაესხნენ ცხინვალის საბოქაულოს სოფ. დიცის სამმართველოს და გაანადგურეს ყველა ქაღალდები. როგორც უკვე იციან მკითხველებმა, იმავე დღეს სარებით შეიარაღებული ქ. გორის მცხოვრებლები თავს დაესხნენ ექვს სალდათს, რომელნიც ყაზარმიდან სატუსაღოსაკენ მოდიოდნენ საყარაულოდ. სალდათებმა იარაღით წინააღმდეგობა გაუწიეს თავდამსხმელთ. მოჰკლეს ორი კაცი და დასჭრეს შვიდი. მერეთის საზოგადოებაში ძალად განდევნეს სასოფლო მოხელეები, დახურეს სოფლის სამმართველოები, აგრედვე მემამულეებს ძალად დაადებინეს რაღაც ხელ-წერილი და დაითხოვეს მათი მოსამსახურეები. ცხინვალის საბოქაულოს სოფ. ყორნისში თავი მოიყარეს წუნარის, დიცის, ბელოთის, შინდისის და ყორნისის საზოგადოების გლეხებმა და ძალად დაადებინეს მღვდელს მათთან ერთობის ფიცი, რაიცა მღვდელმა აასრულა, რადგან მოკვლას ემუქრებოდნენ. სოფელ დიცში—სოფლის სამმართველო დაანგრიეს და გაანადგურეს ქაღალდები. სოფელ ტირძნისში გლეხებმა აიძულეს მემამულე სულხანიშვილი ოჯახითურთ დაეტოვებინა თავისი მამული, ცეცხლი წაუკიდეს ამ მემამულის რამდენსამე შენობას და დაითხოვეს იმისი მოსამსახურეები. ცეცხლი დროზე ჩააქრეს. სოფელ დირბში, წმ. [illegible] მონასტრის მამულში, გლეხებმა მოაწადინეს ბეღლების დაწვა, მაგრამ ვერ მოახერხეს, რადგან მათი განზრახვა დროზე აღმოაჩინეს და ხელი შეუშალეს. სოფელ რუისში გლეხებმა დასწვეს ხუთი წისქვილი, რომელნიც სხვა-და-სხვა პირებს ეკუთვნოდნენ. დასწვეს აგრედვე მღვდლის ინაშვილის სახლი, დაარბიეს სასოფლო სკოლა და სოფლის სამმართველო და დაითხოვეს სოფლის მოხელეები. 15 მარტს სოფელ ველევში გლეხებმა გაკაფეს თავადის ერისთავის ტყე; აიძულეს თავადი ოჯახითურთ დაეტოვებინა თავისი მამული და დაითხოვეს იმისი მოსამსახურეები. სოფელ ქსუისში გლეხებმა განდევნეს მამულიდან აზნაური უთნელიშვილი, ამასთანავე უთხრეს, თუ დაბრუნდები მამულში, სიკვდილი მოგელისო. ამის შემდეგ გლეხები შეუდგნენ ამ მემამულის ტყის კაფვას.

16 მარტს სოფელ შინდისში სხვა-და-სხვა სოფლებიდან თავი მოიყარა ექვსასამდე კაცმა, გარს შემოეხვია სასოფლო სამმართველოს და დაიწყო შუშების, კარების და სხვ. მტვრევა. მოვიდა ბოქაული „სტრაჟნიკებით“, რომელთაც გლეხებმა შეუთვალეს, ახლოს არ მოგვეკაროთ, თორემ ყველას დაგხოცავთო. ამას შემდეგ გლეხებმა გამოიტანეს სასოფლო სამმართველოდან ხელმწიფე იმპერატორის სურათი და დაგლიჯეს.

17 მარტს სოფ. აჩაბეთში ათასი კაცისაგან შემდგარმა ბრბომ დაარბია ადგილობრივი სასოფლო სამმართველო და დასწვა ყველა ქაღალდები.

—

აფხაზეთი. აქეთ მოძრაობა დღითი-დღე ძლიერდება. 13 ამ თვეს ჩალეწეს გუდაუთის სამინისტრო სკოლის ფანჯრები. გუდაუთის ორ-კლასიან სკოლაში ამას წინად შეწყვეტილი სწავლა 14 ამ თვეს განახლდა, მაგრამ 18-დან ისევ შესწყდა, რადგან მოსწავლეებმა ამ დღეს სკოლის ფან-

ფელეტონი

პატარა ამბები

დღევანდელ მოძრაობის თვისებები.—კიდევ პოლიციელებზე.—თ. კ. ერისთავი.—პალმი და მისი მეგობრები.—როგორი უნდა იყოს ერთობა?

ცეცხლივით მოედო დღევანდელი მოძრაობა მთელს ჩვენს ქვეყანას და აღარ დარჩა ერთი კუთხე, სადაც ერთობით არ იყოს აღტაცებული ხალხი. მოძრაობა გამოწვეულია ერთნაირის მიზეზებით და ყოველგან ერთი ხასიათი აქვს. ქონებრივ შევიწროვებას ზედ დაერთო პოლიტიკური და ეროვნული უუფლებობა და ამდენ ხანს დაბეჩავებულმა ხალხმა ამოიღო სამართლიანი და ძლიერი ხმა. სიცოცხლით სავსეა ეს ხმა.

ერთს ჩემს წერილში ვამბობდი, რომ დღევანდელი სოფლის მოძრაობა, როგორც ხალხური, დემოკრატიული, არ შეიძლება არ იყოს ეროვნული. ამ მხრივ საინტერესოა, პრაქტიკულად რა და რა მოთხოვნილებებში გამოიხატება მოძრაობა. არსებითად, ვიმეორებ, გლეხების მოთხოვნილება ერთნაირია, ერთნაირ ეკონომიურს ცვლილებებს თხოულობენ გლეხები, ერთნაირია მათი საზოგადო პოლიტიკური მოთხოვნილებები, ხოლო ყველა ერთნაირად არ აღნიშნავენ თავის ეროვნულს უუფლებობას. რასაკვირველია, ეს არ აიხსნება იმით, რომ გლეხები არ გრძნობდნენ თავის ეროვნულს დაჩაგვრას.

არა, მშრომელი ხალხი განათლებულ ინტელიგენტზე უფრო კარგად ჰგრძნობს, თუ რა არის, როდესაც ერი დამცირებულია და შებორკილი: ინტელიგენტი კიდევ მოახერხებს იცხოვროს უცხო წრეში, უბრალო ხალხისთვის კი სრულიად მოუხერხებელია თავის ეროვნების გარეშე ცხოვრება. ტყუილი და შემცდარი აზრია, თუ ვისმე ჰგონია, რომ ხალხს არ უნდა ეროვნული ავტონომია. ეს ავტონომია კაბინეტში შეთხზული განყენებული შემეცნება-კი არ არის, არამედ მას მოითხოვს ხალხის ინტერესები და ხალხი არ გაირევს უცხოს და გარეშეს თავის შინაურ საქმეებში.

როგორც მკითხველი თვითონ დაინახავდა გურიის ამბებიდან, იქ გლეხებმა უფრო და უფრო გარკვევით და ნათლად წამოაყენეს წინ ეროვნული ინტერესები. ეს ასეც უნდა მომხდარიყო, რადგან ეროვნული მოთხოვნილებები აუცილებელი ლოღიკური დასკვნაა იმ ეკონომიურ და პოლიტიკურ მოთხოვნილებებიდან, რომლებიც გამოსთქვეს გურულმა გლეხებმა. ქართლში იშვიათად ნახავთ სოფელს, სადაც დიდი ყურადღება არ მიექციოთ გლეხებს ქართველის ერის შევიწროვებაზე. კახეთი კიდევ უფრო წინ წავიდა ამ მხრივ. საყურადღებოა განსაკუთრებით ქიზიყი, სადაც გლეხებმა, სხვა რეფორმათა შორის, მოითხოვეს: რომ სამართალი და საქმის წარმოება იყოს ქართულად, ყველა დაწესებულებაში უნდა იყოს ქართული ენა, სკოლა უნდა იყოს ქართული, მოისპოს უცხო ტომის გადმოსახლება და თავისუფალი მიწა მიეცეს ადგილობრივ მკვიდრებს, ქართველ ერს მიეცეს ეროვნული თვითმმართველობა და სხვა.

უეჭველია, ასეთი მოთხოვნილებაა სრულიად სამართლიანია და ბუნებრივი. ხალხი ყოველთვის დაიცავს თავის პიროვნებას და აქ არავითარი დანაშაულობა არ არის...

* *

ამას წინად სწერდენ, რომ რუსეთის ზოგი-ერთ ქალაქში—მოსკოვში, რიგაში და სხვაგან—ქალაქის თვითმმართველობამ განიზრახა საკუთარის მილიციის დაარსება, მოქალაქეთა დასაცველად პოლიციის, დარაჯების და „შავი ბანდის“ ძალმომრეობისაგან. როგორც ეტყობა ახლა, ჩვენი ქალაქისათვისაც საჭირო იქნება ამგვარი შინაურ მილიციის დაარსება. რაც იანვარ-თებერვალში ამბები მოხდა ტფილისში, ეს ყველას კარგად ახსოვს. ქუჩებში თავისუფლად სიარული სახიფათოა. მშობლებს სასეირნოდ ვერ გამოუშვიათ ბავშვები. ყველგან „ბუნტია“, ქუჩაში ვინ სჩივა, მგონი, მალე, სახლში ყოფნაც საშიში შეიქნეს. აღარ არსებობს პოლიციელისათვის აღარც მოხუცი, აღარც ბავშვი, აღარც ქალი, ყველას მოურიდებლად სცემენ. ასე წარმოიდგინეთ, კი არ ერიდებიან ქალაქის მიერ დაყენებულ კაცებსაც, იმ ქალაქისა, რომლის ხარჯით და ჯამაგირით ცხოვრობენ პოლიციელები. ამ მოკლე ხანში რამდენიმე მაგალითი მოხდა, რომ წყლის მილის მოსამსახურეებს თავს დაესხნენ დარაჯი—ყაზახები, როგორც მძარცველი ყაჩაღები. ხმოსნებმა რომ ეს ამბავი მოისმინეს, მოითხოვეს, რომ, თუ სხვა არაფერია შესაძლებელი დღეს დღეობით, იარაღი მაინც დაურიგდეთ ქალაქის მოსამსახურეებს თავის დასაცველადო.

წარსულის თვის 14-ს ქუთაისში ისეთი ჟლეტა-ხოცვა და ნადირობა გამართეს ადამიანებზე შუა ქალაქში, რომ ქუთაისლები დღესაც ვერ დაწყნარებულან ამ ამბის შემდეგ. ყველა შეაძრწუნა და აღელვა პოლიციელთა თავგასულობამ. მუდამ მხიარული და ცოცხალი ქუთაისი დღეს სამარის სიჩუმით არის მოცული, რადგან, როგორც კი საღამოს ჟამი დადგება, ქუჩაში გამოსვლა შეუძლებელია, მეამბოხედ დაგსახავენ მაშინათვე და მყუდროების დარღვევისათვის მყუდრო ადგილს მიგასვენებენ კარგა ხნით. ქუთაისლები მაინც არ ცხრებიან, არ ივიწყებენ 14 თებერვალს და ასე ამბობენ, ძალად ვერავინ გაგვაჩუმებსო! ქუთაისლები ეძებენ სამართალს, ეძებენ შეურაცხყოფის დაკმაყოფილებას, ითხოვენ დამნაშავეთა დასჯას, მაგრამ ვერსად უპოვნიათ მოსამართლე! ან კი სად არის დღეს მოსამართლე? ნუღარ ვეძებთ მას...

* *

...რაკი მეგობრობაზე ჩამოვარდა ლაპარაკი, ორიოდე სიტყვით უნდა მოვიხსენიოთ ოზურგეთის მაზრის მარშლის თ. კ. ერისთავის წერილი, რომელიც ამ დღეებში დაიბეჭდა ჩვენს გაზეთში. თავადს ერისთავს ბევრი სდებდა ბრალს, რომ სცდილობდა, მთავრობას რეპრესიული ზომები მიეღო გურიის დღევანდელ მოძრაობის წინააღმდეგო, და, სხვათა შორის, ამას დასამტკიცებლად იმას ასახელებდნენ, რომ თ. ერისთავი არ ჩამოვიდა, როდესაც მისმა ნაცნობებმა სთხოვეს, იმ კერძო დეპუტაციაში მონაწილეობის მისაღებად, რომელმაც ითხოვა მთავარ-მართებელთან, უკან დაბრუნებულიყო გურიაში გაგზავნილი ჯარი და მხოლოდ მშვიდობიანი ზომები ყოფილიყო მიღებული ხალხის დასამშვიდებლად.

ამ ბრალდების თავიდან ასაშორებლად დაბეჭდა თ. ერისთავმა ზემოხსენებული წერილი: დაიფიცა: ვინ სთქვა, როგორ შეიძლება, ვის გაუგონია, როგორ შეიძლება იმის წარმოდგენა, რომ მე გურიის დღევანდელ მოძრაობის წინააღმდეგი ვიყო, რაიმე განმეზრახოს ან მომექმედოს; სულით და გულით მიყვარს ჩვენი ხალხი და თანაგრძნობით. ტფილისის დეპუტაციაში მონაწილეობის მისაღებად რომ მიმიწვიეს, ვერაფერი გავიგე, ვინ მიწვევდა ან რისთვის, და ამიტომ არ წაველი და ვერ მივიღე მონაწილეობაო.

ასეთ ფიცზე მეორე დღესვე უპასუხა თავ. ერისთავს თ. ნ. თავდგირიძემ და დაუმტკიცა: კარგად იცოდით, ვინც გიწვევდათ ტფილისში და რისთვისაცო, ეს ნათლად სჩანს თქვენის საპასუხო დეპეშიდან, რომელიც ასეთი შინაარსისაა: „ტფილისში. ნიკო თავდგირიძეს. მოსვლა არ შემიძლია. გთხოვთ გამაგებინოთ ამბავი საქმის შესახებ“.

ამის შემდეგ ნეტავ რას იტყვის თ. ერისთავი? კიდევ დაიფიცებს?..

* *

ფიცი ადვილია, ფიცით არას დავკარგავთ; მაგრამ ხალხში ფიცს გასავალი აღარა აქვს. ხალხმა გაიგო, როგორ ხშირად ატყუებდნენ მას ფიცის სახელით. საზოგადოებას არა სჯერა-რა ფიცის, განსაკუთრებით ცრუ-მეგობრების ფიცისა.

რამდენჯერ არ აირჩია, მაგალითად, სოხუმმა ქალაქის თავი და გამგეობის წევრები, მაგრამ არ დაამტკიცეს, არ დაამტკიცეს იმიტომ, რომ, როგორც ფიცულობდნენ არა დამამტკიცებელნი, ხალხის მიერ არჩეული გამგე ყოველთვის მავნებელიაო ხალხისათვის. ასე ფიცულობდნენ, ამას ამტკიცებდნენ, მაგრამ ნამდვილად სულ სხვა იყო: [illegible] უწესოება, ურიგობა და საზოგადო ფულის უპატრონოდ ფლანგვა დამყარდა ქალაქის თვით-მმართველობაში მას შემდეგ, რაც იქ დაბინავდნენ მთავრობისაგან დანიშნულნი მმართველნი. ასე საქმე ვერ გაუცია ქალაქს, რომ ვინმემ ასობით და ათასობით არ

რჯები და ავეჯეულობა ახლა უფრო ჩალეწეს და მიანგრ-მოანგრიეს. არც ზოგიერთ მასწავლებლის ბინა დაუტოვებიათ უყურადღებოდ.

19—20 ამ თვეს ს. ლიხნში (გუდაუთიდან 2—3 ვერსტზე) ჯარი გაიგზავნა ბარგი-ბარხანით. ამბობენ, ოლქის უფროსის თანაშემწეს, ხინჩენკოს თოფი ესროლეს, მაგრამ ასცდაო. აფხაზები უარს ამბობენ სახელმწიფო გადასახადზე.

როგორც მოგეხსენებათ, აფხაზები სალდათად არ გაჰყავთ. ამის მაგიერ ყოველ წლივ გადასახადს ახდევინებენ. აცხადებენ, არ ვინდა ეს გადასახადიო. ჩვენ სურვილს ვაცხადებთ სალდათობაზე იმ პირობით-კი, რომ ჩვენს შვილებს აქვე, ჩვენს ოჯახში, (სოფელში) ასწავლონ, რომ სწავლის შემდეგ ოჯახის საქმეს არა სცდებოდნენო. აქაური ადმინისტრაცია ჰფიქრობს, აქ წამქეზებლები უნდა მოქმედებდნენო. ამიტომ სცდილობს მათ ხელში ჩაგდებას.

რაც გუდაუთის ნაწილის სხვა-და-სხვა სოფლებში (პოსტებში) საეროზო დარაჯი იყო დაბინავებული, სულ გუდაუთში მოუყარეს თავი, რომ ცალ-ცალკე გაბნეულებს ისეთივე საქმე არ დაემართოთ, რაც სხვაგან დაემართათო.

აქაური საეპარქიო მეთვალ-ყურე (დეკანოზი ისტრეფოვი) და ეპისკოპოსის მდივანი, მუქარის წერილების მიღების შემდეგ, სადღაც წავიდნენ. **აფხაზი.**

დ. არტანუჯი. ხალხის უთანხმოებამ აქაც თავი იჩინა. დადგა ახალ მამასახლისების არჩევის დრო, მაგრამ ხალხი უარს ამბობს მათ არჩევაზე. სხვათა შორის, შავშეთში ნაწილის უფროსს შეუკრებია ხალხი და მოუთხოვია მამასახლისის არჩევა. ხალხს უფროსისთვის უკითხავს: ვისთვის გნებავს მამასახლისი? თქვენთვისო, უპასუხნია. ამაზე ხალხს უთქვამს, ჩვენთვის მთავრობის მამასახლისი საჭირო არ არის, რადგან იმის შენახვას დიდი ხარჯი უნდაო. ასეთ პასუხისთვის უფროსს, როგორც ამბობენ, რამდენიმე მოთავე კაცი დაუპატიმრებია. ხალხი აღელვებულა, ხელი შეუბრუნებიათ მისთვის, შემდეგ შევარდნილა სატუსაღოში და ძალით გაუნთავისუფლებია თავისი მოპირეები. ამის გამო არ თვეიდან წავიდა ადგილობრივ ოლქის უფროსი თავის თანაშემწით. **ალ.**

გურია. გურიაში ამ ბოლო დროს სიწყნარეა. ბევრგან გლეხები მოურიგდენ მემამულეებს მიწების საყანულზე. პირველის ხარისხის საყანე მიწა იძლევა ქცევა სამ მანეთად, მეორე—ორ მანეთად და მესამეც—მანეთად. ბოროტებაც თითქმის მოისპო მას შემდეგ, რაც ხალხმა თითონ იკისრა იმისი დევნა. ხალხის მიერ არჩეული პირები, სადაც ყველა წოდება იღებს მონაწილეობას, დიდის მხნეობით სდევნიან ყოველნაირ ბოროტებას. საყურადღებო აქ ის არის, რომ ისინი მხოლოდ სიმართლით ხელმძღვანელობენ საქმის გარჩევის და გადაწყვეტის დროს. აქ ვერ შეამჩნევთ მიკერძებას და უსამართლობას.

საჩხერე. აქეთაც შესცვალეს გლეხებმა დღევანდლამდე არსებულ პირობებით ადგილების მუშაობა. დღემდე აძლევდნენ მემამულეებს ნახევარ მოსავალს, ზოგგან საქალამნესაც, დღეს ერთბაშად მოითხოვეს სამეოთხედოდ; ალაგ სამეექვსედოდაც. დანარჩენი ხარჯები მოსპეს. მემამულემ თვითონ უნდა წაიღოს ყანიდან ხვედრი მოსავალი; ზოგი მემამულე დაეთანხმა ამ პირობებს, ზოგმა კი გამართა საჩხელ-უღელი და მოემზადა სამუშაოდ. დღემდე თუ ერცხვინებოდათ მუშაობა, დღეს სირცხვილად აღარ მიაჩნიათ. ასე თუ ისე ხალხი ძლიერ გამოფხიზლდა. ქურდობა, ავაზაკობა და დაწვა აქამდე გახშირებული იყო, დღეს კი ეს ყველა ისპობა. შეგნება მატულობს, აქამდე თუ გლეხი ხათრით ორ სიტყვას ვერ იტყოდა, დღეს მშვენივრად მსჯელობს თავის საჭირ-ბოროტო საქმეებზე, უნდა რომ მძიმე ტვირთი შეიმსუბუქოს და ხანდახან მაინც ადამიანურად ამოისუნთქოს. სასამართლოში მისვლა აღარა სურთ; თუ ვინმეს რამე სადაო საქმე აქვს, ორ-სამ კაცს მიიყვანს და საქმეს მორიგებით ათავებს.

მოწაფეებმა სწავლას ყველგან თავი გაანებეს. სკოლები დაცარიელებულია.

ბაზარში ვაჭრობა კვირაობით მოისპო, მაგიერ პარასკევი დააწესეს. კაი დღეებს, ე. ი. თავიანთ დღესასწაულებს სპობენ, „რადგან ბევრი ხალხი ვალში ვარდებაო“. აგრეთვე უნდათ მოსპონ მიცვალებულის გასვენების ხარჯი და ქრისუფალს აალილონ დაალიანება. **აქაური**

სოფ. ამბროლაური (რაჭა). 21 მარტს სოფ. ამბროლაურს შეიკრიბა ორასამდე გლეხი და გასწია მინა გიორგობიანის სახლისკენ. გლეხებს წინ დახვდათ მომრიგებელი შუამავალი თავ. წულუკიძე. თავ. წულუკიძემ მიმართა ხალხს: გიორგობიანთან რა გაქვთ სათხოვარი, მე მითხარით და მე გადავსცემო. გლეხებმა უთხრეს წულუკიძეს, ჩვენ გვინდა ვთხოვოთ გიორგობიანს, დაგვითმოს ეკლესია თავის ეზოთი; ჩვენ დაგვაკისრეს ახალ ეკლესიის აშენება, აღარ შეგვიძლიან ახლის აშენება, გიორგობიანს ტყუილად აქვს ეკლესია გამოკეტილი და ჩვენთვის კი საჭიროაო. თავ. წულუკიძემ გადასცა გიორგობიანს გლეხთა მოთხოვნილება, გიორგობიანმა ცივი უარი სთქვა. მაშინ გლეხები თითონ მიადგნენ გიორგობიანის სახლს და მოსთხოვეს ეკლესია სოფლის სასარგებლოდ. მხოლოდ ამის შემდეგ გიორგობიანმა გამოუტანა გლეხებს ეკლესიის გასაღები. გლეხებმა მადლობა გადაუხადეს და დაიშალნენ. მ. გიორგობიანს ამ რვა წლის წინად იყიდა თავ. მაჩაბლის ადგილი სახნავი და ზვრები.

ვანო ჭიჭინაძე

დუშეთი. 23 მარტს მაზრის სამმართველოსთან შეიკრიბნენ დუშეთის მოქალაქეები და ვაჭრები თავიანთ საჭიროების შესახებ მოსალაპარაკებლად. მოითხოვეს ქალაქის სასარგებლოდ გაწერილ (?) სხვა-და-სხვა ხარჯებისა შემცირება და იაფ-ფასიან მწერლის დაჭერა ქალაქის თვით-მმართველობისთვის, ამასთან ითხოვეს, რომ დუშეთში სახელმწიფო ხარჯით დაარსდეს 4 კლასიანი საქალაქო სასწავლებელი, სადაც ქართულ ენას უპირატესობა უნდა მიეცეს. მაზრის უფროსის თანაშემწემ ჩაიწერა ყველა ეს და დაჰპირდა შუამდგომლობას. ამის შემდეგ ხალხი წყნარად დაიშალა. ამავე დღესვე ასზე მეტი გლეხ კაცი ზედ შუა დუშეთზე ჩამოიარა; კომბლებით და ზურგზე პურ წამოკრულები სადღაც მიეშურებოდნენ. როცა ვკითხე, სად მიდიხართ—მეთქი, ერთმა მიპასუხა, სოფ. საკრამულში, იქ უნდა მოვილაპარაკოთ ჩვენ გაჭირვებაზეო. **დ—ლი.**

ზუგდიდი. აქ წესიერების აღსადგენად სდგას 120 ყაზახ-რუსები ორის აფიცრით. აქედან ნახევარი სოტნა ერთის აფიცრით 22 მარტს ს. კახათში წავიდა. აქვე ჩამოვიდა არდაგნის ქვეითა რაზმის ნახევარი როტა (80 კაცამდე).

სოფ. ხვედურეთი (ქართლი). გლეხთა მოძრაობით სარგებლობენ „ხულიგანები“ და ათას სისაძაგლეს სჩადიან. ამ ორი დღის წინად რამდენიმე კაცს უტეხია თავ. დ. კ. ციციშვილის სახლი და თუ რამე ფასიანი ყოფილა, გაუტანია. ბოროტ-მოქმედნი შემდეგ ჩასულან ამისავე მარანში და თითქმის გათენებამდე უქეიფნიათ. მოვრალები თოფების სროლით გადასულან მეორე ციციშვილის სახლში და ის სახლიც გაუტეხიათ

სოფ. პატარძეული (ივრის ხეობა). 20 მარტს ყრილობა ჰქონდა სოფ. ხაშმისა, პატარძეულისა, საგარეჯოსა, ნინოწმინდისა, გიორგი-წმინდისა, მარიამ-ჯვარის, მანავისა და სხვა სოფლის გლეხობას. შეიკრიბა 10,000 კაცამდე. ყრილობას დაესწრებიან ქალებიც. ივრის ხეობაში პირველად მოძრაობა დაიწყო საგარეჯოში. საგარეჯოელებს, როგორც სახელმწიფო გლეხებს, ამ 6—7 წლის წინად მთავრობამ დაუთმო სასარგებლოდ ალენჯის ტყე, რომელიც ერთი წლის შემდეგ ჩამოერთვა. ხუთი წელიწადი საგარეჯოელები შუამდგომლობას-შუამდგომლობაზე ჰგზავნიდნენ და თხოულობდნენ, ჩვენთვის მოზომილი ალენჯის ტყე ისევ ჩვენ დაგვიბრუნეთო, მაგრამ არაფერი გამოვიდა. ამას წინად საგარეჯოელები შესულან ტყეში და დიდი ნაწილი აუჩეხნიათ. 20 მარტს საგარეჯოელების ინიციატივით შეკრებილ 10,000 კაცს მოლაპარაკება ჰქონდა თავის საჭიროებაზე. ყრილობამ გამოსთქვა, რომ სოფელმა თითონ უპატრონოს თავის თავსაო! დაადგინა და შემდეგ განახორციელა კიდეც სკოლის დაკეტვა, რადგან დღევანდელი სკოლა აუკულმართებს ბავშვებს და არაფერს არ ასწავლისო. დაითხოვეს სოფლებიდან ქართულის არ მცოდნე მასწავლებლები, აქციზის მოხელენი, გადააყენეს მამასახლისები და სხვა. სოფლებში არჩეულ იქნენ ათის თავები, რომელთაც დაევალათ თვალ—ყურის გდება სოფლად. სასოფლო ტყეებს მცველები დაუყენეს. ყრილობისავე დადგენილებით, სოფლის ხალხმა შეწყვიტა ყოველივე დამოკიდებულება ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, სასამართლოსთან და სხვ. გლეხებმა მოსთხოვეს მოხელეებს წავიდნენ სოფლებიდან. ამას წინად ადგილობრივ ჩასულა ტფილისის მაზრის უფროსი თავ. ჯანდიერი. გლეხებს გადაუციათ წერილობით თავიანთი მოთხოვნილებანი, ხოლო მოლაპარაკების შესახებ უარი უთქვამთ.

ახალი ამბავი

✦ გაზეთი „სინ ოტეჩ.“ შემდეგ საყურადღებო ამბავს გადმოგვცემს: „როგორც გავიგეთ, შინაგან საქმეთა სამინისტროს აზრად აქვს დანიშნოს კომისია იმ მიზეზთა გამოსარკვევად, რამაც **გამოიწვია გურიაში სააგრარო მოძრაობა,** ხოლო დასავლეთ მხარეში (პოლონეთსა და სხვაგან)—სასოფლო სამეურნეო მუშების გაფიცვა.“

✦ ამბობენ, სამრევლო სკოლების სოლქო მეთვალყურე დეკ. **ვოსტორგოვი სხვაგან გადაჰყავთო.** არ ვიცით, რამდენად მართალია ეს ამბავი.

✦ ტფილისში ხმა დადის, რომ **ტფილისის გუბერნატორი სხვაგან გადაჰყავთ.**

✦ 25 მარტს, თათბირი ჰქონდათ ადგილობრივ გაზეთების ასოთ-ამწყობებს, რომელზედაც დაადგინეს, სრულიად მოსპონ კვირა-უქმე დღეებში მუშაობა.

✦ **ტფილისის საეპარქიო დედათა სასწავლებლის** გამგე-უფროსად, სინოდის განკარგულებით, დაინიშნა კნ. ნინო მერაბის ასული თავდგირიძისა. ქნი თავდგირიძისა ქუთაისის საეპარქიო სასწავლებლის უფროსად იყო, მაგრამ ადგილობრივ სასულიერო სამოსწავლო უწყების მიერ შარშან გადაყენებულ იქმნა სამსახურიდან მოწაფეთა არეულობის გამო. კნ. თავდგირიძისა წავიდა პეტერბურგს და იქ განასაჩივრა ეს განკარგულება. უწ. სინოდმა სამართლიანად იცნო კნ. თავდგირიძის მოხსენებანი, სრულებით გაამართლა იგი და დაადგინა: როცა განთავისუფლდება ადგილი ქუთაისსა ან ტფილისში, ყველაზე უწინარეს დაინიშნოს კნ. თავდგირიძისაო. ეხლა, როგორც ვიცით, ტფილისში განთავისუფლდა ადგილი და კიდევაც დაუნიშნავთ სასწავლებლის უფროსად.

✦ 25 მარტს ტფილისში, ვ. დ. ყორღანოვის თავმჯდომარეობით, **მოხდა პირველი კრება** ბეჭდვითი სიტყვის მოღვაწეთა საზოგადოებისა. კრებამ პირველადვე აღნიშნა წესდების უვარგისობა და ლაპარაკი ჩამოაგდო ახალ წევრების მიღებაზე. ზოგიერთებმა სასურველად არა სცნეს წევრად მიღება განურჩევლად ყველასი. შეიძლება ისეთი კაცი მოხვდეს, რომელიც ბეჭდვით საქმეს ხელს-კი არ უწყობს, უფრო ხუთავს და ავიწროვებსო. ბოლოს დაადგინა, მიღებულ იქნან ისინი, ვინც ამ დღეს კრებას დაესწრნენ. შემდეგ მოხდა გამგეობის და სარევიზიო კომისიის წევრებისა და მათის კანდიდატების არჩევნები. ხმის უმეტესობით არჩეულ იქნენ: გამგეობის წევრებად—ვ. დ. ყორღანოვი, ლ. დ. ყიფიანი, გ. მ. ლასხიშვილი, ს. კ. მიხაილოვი, რ. ა. იოანნესიანი და ფ. ი. მახარაძე; მათ კანდიდატებად—პ. სურგულაძე, ფ. გოგიჩაიშვილი, ლაზარევი და ჯაბარი; სარევიზიო კომისიის წევრებად—ა. ს. ღულაძე, ა. ხატისოვი და თავ. ვ. ნ. ჩერქეზიშვილი; მათ კანდიდატებად—ვ. ა. ლიმარევი, კ. ჯაფარიძე და ნავურსკი. დასასრულ კრებამ დაავალა ახლად არჩეულ გამგეობას შეასწოროს საზოგადოების წესდება და მისში საგანგებო კრება მოიწვიოს ამ შესწორებულ წესდების განსახილველად.

✦ 5 აპრილს პეტერბურგში დაიწყება **სრულიად რუსეთის ჟურნალისტთა კრება.** კრებაზე მიიწვევს წარმომადგენელნი როგორც რუსულის, ისე სხვა პრესისა.

✦ 23 მარტს აქეთ ამიერ-კავკასიის რკინის გზის სადგურ ძეგამიდან დაწყებული ყარაიაზამდის ლიანდაგისა და რემონტის **მუშებმა თავი გაანებეს მუშაობას.** მუშები ერთი სადგურიდან მეორეში გადადიან და მოსამსახურეებს ემუქრებიან, გაანებეთ თავი მუშაობასაო, ამასთან თხოულობენ ჯამაგირების მომატებას და დღიურ ფასად ერთი მანეთის დაწესებას. აჩერებენ მატარებლებს, არ უშვებენ სამუშაოდ მატარებლების შემდგენელთ, მეისრეებს და გადამბმელებს. 24 მარტს ძეგამში ჩამოვიდა სახალხო მატარებლით 200 კაცი, სცემეს ნავთის მილის მუშებს, შემდეგ გამოიყვანეს ორთქლმავალი და ოთხი პლატფორმა, შესხდნენ და ყველანი ერთად წავიდნენ აქსტაფაში.

✦ ამიერ-კავკასიის რკინის გზის უფროსმა აცნობა ლიანდაგის უფროსებს, რომ 1 მარტიდან რემონტის იმ ცოლშვილიან მუშებს და ლიანდაგის დარაჯებს, რომელთაც 18 მანეთზე ნაკლები ჰქონდათ და რომელნიც წელიწადზე მეტს მსახურობენ, დაენიშნათ თვრამეტი მანეთით. უცოლ-შვილოს დაენიშნა თექვსმეტი მანეთი.

✦ როგორც ხაშურიდან გვწერენ, 24 მარტიდან **გაფიცულან რკინის გზის რემონტის და ლიანდაგის მუშები,** დაწყებული სადგურ მოლითიდან ხაშურამდის და ხაშურიდან ბორჯომამდის. ღამე მატარებლების მიმოსვლა შეჩერებული იყო.

✦ **ყარსის რკინის გზაზე** მარტო დღისით დადიან სახალხო და საქონლის მატარებლები, როგორც ყარსამდის, ისე გუმბრსა და ერევნამდის.

✦ ტფილისელ **ნოქართა მოთხოვნილებების** განსახილველად, 24 მარტს, ქალაქის მოურავის თავმჯდომარეობით, კრება მოხდა. დაესწრო 8 ნოქარი და 26 ვაჭარი. კრებამ დაადგინა, სთხოვოს ვაჭართა მამასახლისს შადინოვს, მოიწვიოს ვაჭართა საზოგადო კრება ამ მოთხოვნილებათა განსახილველად და ნოქრებთან შესათანხმებლად. ნოქრებს არც გუშინ დაუწყიათ მუშაობა, რის გამოც დიდი სავაჭრო სახლები დაკეტილი იყო.

✦ როგორც გვატყობინებენ, რაჭაში **გაუქურდავთ ორი ეკლესია:** სოფ. სხვავის წმ. გიორგისა და სოფ. ონის წმ. გიორგისა. სხვავის ეკლესიის გამტეხი ვერ იპოვეს, ხოლო ონის ეკლესიის გამტეხი აღმოჩნდა ამ ეკლესიის დარაჯი სიკო ნახუტელიძე.

✦ **პეტერბურგიდან ჩამოვიდა სახაზინო** რკინის გზათა მთავარი ინსპექტორი ინჟინერი დამპროვსკი, რომელმაც უნდა დაათვალიეროს ამიერ-კავკასიის რკინის გზის ნავთის მილი.

✦ როგორც ქუთაისიდან გვატყობინებენ, 21 მარტს „ნახშირის“ საზოგადოების **მეარტელეს თავს დასცემია რვა შეიარაღებული კაცი.** მეარტელეს წაართვეს 7000 მანეთი, რომელიც ტყიბულიდან მოჰქონდა.

✦ სამტრედიაში 22 მარტს **გაუტეხნიათ კასსა და წაუღიათ 133 მ. 27 კ.**

✦ დღეს, 27 მარტს, გაიხსნება **ფუნიკულერის მიმოსვლა** მამა-დავითის მთაზე. დილის 10 საათისთვის დანიშნულია კურთხევა გზისა, ამიტომ მიწვეულნი არიან ტფილისის ქალაქის მოურავი, გამგეობის წევრნი, საბჭოს ხმოსანნი და სხვანი.

✦ სართიჭალის ბოქაულმა შეატყობინა მაზრის უფროსს, რომ სადგურ ვაზიანის მახლობლად სოფლის მოხელეებმა ნახეს გვამი **მოკლულ კაცისა,** რომელიც აღმოჩნდა თავ. დადიანის ტყის მცველიო.

✦ **მოვიდა ახალი წიგნი იაკობ გოგებაშვილისა:** „რანი ვიყავით გუშინ?“ გამოცემა ქართველ ამხანაგობისა. ფასი ერთი აბაზი.

✦ **როგორც ოზურგეთიდან გვატყობინებენ,** იქ ამ დღეებში შეუპყრიათ ადგილობრივი ექიმი, ბეითალი და რამდენიმე ინტელიგენტი.

✦ გუშინ, 26 მარტს, დილის 4 საათზედ რკინის გზის ტფილისის სადგურის უფროსის თანაშემწეს კრეისლერს სადგურთან წამოსწევია ვიღაც უცნობი კაცი, დაურტყამს ხანჯალი და მძიმედ დაუჭრია. დაჭრილი სამკურნალოში გაჰგზავნეს. დამჭრელი სადღაც მიიმალა.

✦ იარაღთვისა და ამხ. სააქციონერო საზოგადოების ქარხნის მოსამსახურეებმა ქარხნის გამგეს წარუდგინეს თავიანთი მდგომარეობის გამაუმჯობესებელი მოთხოვნილებანი.

✦ როგორც შორაპნიდან გვატყობინებენ, 22 მარტს შეუპყრიათ ამიერ-კავკასიის რკინის გზის დეპოს უფროსის ბლოკის მცველი პორფირე ზაიჭკა.

✦ გუშინ, 26 მარტს, სოფ. დიღომში ვიღაც კაცებს ხელში ჩაუგდიათ მემამულის კნ. ელ. ნ. ბაგრატიონ მუხრანსკის ტყის მცველი ლეკი ალექსანდრე სულთანოვი, უცემიათ და დაუჭრიათ კიდეც. დაჭრილი სულთანოვი ჩამოიყვანეს გუშინვე მიხეილის სამკურნალოში.

✦ 25 მარტს ლორის-მელიქოვის ქუჩაზედ მცხოვრებმა თამარ თავართქილაძისამ განაცხადა პოლიციაში, სოლოლაკის ქუჩაზედ ჩემი წიგნების საწყობი გასტეხეს ვიღაც ბოროტ გამზრახველთ და წაიღეს 700 ცალი წიგნი 400 მან. ღირებულისო.

✦ სახაზინო თეატრთან ხუთშაბათ ღამის $10\frac{1}{2}$ საათზე უცნობ მანდილოსანს თავს დაეცნენ სამი ვიღაც კაცი. ქალმა წივილი მორთო. ორი უცნობი კაცი გაიქცა, მესამეს კი, რომელიც არ დაიძრა, ქალმა ქვა დაარტყა და ყბა და კბილი გაუტეხა.

დეპეშა

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

ფოთი. 26 მარტს, დილის $10\frac{1}{2}$ საათზე ცხრა შეიარაღებულმა კაცმა გაცარცვა საურთიერთო კრედიტის საზოგადოება· წაიღეს ფულათ 6,000 მანეთი და ფასიანი ქაღალდები 9,000 მან. აგრეთვე გაცარცვეს იქ დამსწრენი.

ქუთაისი, 26 მარტი. 24 მარტიდან შესწყდა სწავლა ქუთაისის გუბერნიის ყველა სახალხო სასწავლებლებში.

ამ დღეებში ხონში მოწამლულა დავით ბახტაძის ოჯახი. მამასა და შვილს შეცთომით დაულევიათ ქინაქინის მაგიერ სტრიხნი.

ტფილისის ქალაქის საბჭოში

23 მარტი

ამ დღეს საბჭომ განიხილა მხოლოდ ხუთი-ექვსი საქმე. ხმოსნები სხვა-და-სხვა საქმის გამო შეეკითხნენ გამგეობას. სხვათა შორის, ხმ. ბაბოვმა იკითხა, რა მდგომარეობაშია საბჭოს დადგენილება ქალაქის მეეზოვეების შესახებ: მეეზოვენი ძველებურად განაგრძობენ ბატონობასაო. ქალაქის მდივანმა აცნობა საბჭოს, რომ დადგენილება ძალაშია უკვე და მალე გაიგზავნება შუამდგომლობა, რომ მეეზოვენი განთავისუფლებულ იქნენ საპოლიციო საქმეებისაგანაო. შემდეგ ხმ. ვართანოვი შეეკითხა გამგეობას სახელოსნო და საპროფესიონალო სასწავლებლებში მოსწავლეთა უწესოებების შესახებ. გამგეობის წევრმა თავ. არღუთინსკი-დოლგორუკოვმა აცნობა საბჭოს ორივე სკოლის ამბავი. პროფესიონალურ სასწავლებელში სწავლა არ შეწყვეტილა. მოსწავლენი მოდიოდნენ სკოლაში და მხოლოდ აქ თითო საათობით სწყვეტდნენ სწავლას და მართავდნენ მოლაპარაკებას. გამგეობა ყურადღებით მოეკიდა მოსწავლეთა მოთხოვნილებას და ღონისძიებაა მიღებული, რომ ყოველივე რიგიანად მოეწყოს. რაც შეეხება სახელოსნო სკოლას, იქ მოსწავლეებმა შარშანაც თავიანთი მოთხოვნილებანი საპედაგოგიო საბჭოს წარუდგინეს და შესწყვიტეს სწავლა. საპედაგოგიო საბჭომ მოსწავლეთ აცნობა სამინისტროს მოწერილობა და წინადადება მისცა, ვინც დანიშნულ დროს სასწავლებელში არ გამოცხადდება, დათხოვნილ იქნებაო. მოსწავლენი დანიშნულ დროს სასწავლებელში მოვიდნენ და განაგრძეს სწავლა. ამ დღეებში მოსწავლეებმა ხელმეორედ შესწყვიტეს სწავლა. დირექტორმა წარმოადგინა საპედაგოგიო საბჭოს დადგენილება, რომლის ძალითაც ზოგიერთი მოსწავლე უნდა დათხოვნილ იქნას სასწავლებლიდან, თანახმად აღნიშნულ ცირკულიარისა. გამგეობამ საპედაგოგიო საბჭოს დადგენილება ჯეროვნად განუხილველი დასტოვა. ამ საგანზე კამათი გამწვავდა, მაგრამ ქალაქის მოურავმა მოსპო. შემდეგ საბჭომ აარჩია სახაზინო პალატის საზოგადო და ხარჯის გამწერ საკრებულოს წევრებად: გ. ტერ-ასატუროვი, ე. აუფერმანი, ტ. გ. რატინიანცი, პავლე გორგენოვი, ესტ. ჩხარტიშვილი, ის. ციციკოვი, მიხ. შატირიანოვი, სოფრონ სხირტლაძე, გრიგოლ ბასილოვი, მიხ. ბიზარჯიანცი და სილიბისტრო კვაჩაძე.

მოიპაროს ქალაქის ფულები. ქალაქისათვის გაკეთებული არაფერი არ არის რიგიანი და მტკიცე, ყველაფერი ყალბია. ბევრს მაგალითს არ გამოვეკიდები, ამის შესახებ რამდენჯერმე მქონია ლაპარაკი—ხოლო ერთს ამბავს გავიხსენებ: ქალაქის გამგეობამ ამას წინად ზღვის პირის ქუჩის გაკეთება მისცა ვიღაც ეფ—დის ასფალტით მოსაფენად 22 ათასად. მოიჯარადრემ „პარნათლად“ შეასრულა საქმე, ქუჩა ჩაბარა გამგეობას და ფულიც ჩაიბარა. მაგრამ გამოჩნდნენ ასეთი ადამიანები, რომელთაც არაფრად მოეწონათ ქუჩა და დაიწყეს ქალაქში ხმა მაღლა ლაპარაკი, ქუჩა უვარგისია, ქალაქმა იზარალაო. გაიგონა ეს მოიჯარადრემ, აღავსო კეთილმოუკარებობით და გულ-კეთილობით და 3000 მანეთი დაუბრუნა ქალაქს ქუჩის შესაკეთებლად. ავენანი ამითაც არ დაკმაყოფილდნენ და ისევ გაიძახიან: ქუჩა ისე ცუდათაა გაკეთებული, რომ ორჯერ მეტიც არ კმარა იმის შესაკეთებლადაო.

მაგრამ ქალაქის ძალად-მმართველთ რა ენაღვლებათ? განა ქალაქის ინტერესი აწუხებთ მათ? რა არის სოხუმი მათთვის ან თვითონ რა არიან სოხუმისათვის! ვინც გამოგზავნა, იმას ხომ კარგად ემსახურებიან, და სოხუმელებმა რაც უნდათ, ის იფიქრონ!

ფუი! ვინ არიან ეს სოხუმელები, ეს მეგრელები, იმერლები, აფხაზები! რა მნიშვნელობა აქვთ მით მთავრობისაგან დაუჩნებულის ქალაქის თავისათვის?

* *

წისქვილმა-კი ფქვასო და ვინც რა უნდა, თქვასო! ასე ამბობენ ყველა ჩვენზე ძალად გაბატონებულები, რომელნიც არასოდეს ანგარიშს არ უწევენ არც ჩვენს სურვილს, არც ჩვენს საჭიროებას, არც ჩვენს ინტერესს.

მაგრამ... „წისქვილმა-კი ფქვასო და ვინც რა უნდა სთქვასო“, ამბობდა ნეტარხსენებული პალმიც, და აღარ ფქვავს უკვე მისი წისქვილი, რომელმაც იმდენი უსამართლობა, ჯაშუშობა, გაიძვერობა, ძალმომრეობა გამოფქვა, მაგრამ ბოლოს მაინც დაუშრა წყალი და გაუჩერდა ბორბლები.

საკვირველ ამბებს ვხედავთ! სიზმარშიც ვერავინ წარმოიდგენდა წელიწად ნახევრის წინად იმას, რასაც დღეს ცხადად ვხედავთ ყველანი. აღარ არის პალმი! აღარ არის დიმიტრი ეპისკოპოზი! აღარ არიან სხვებიც! სადღა არის პალმის იმდენი გაიძვერობა, ჯაშუშობა, ძალმომრეობას მოწოდება? რა ნაყოფი მოიტანა მისმა ამდენმა მეცადინეობამ! რა დასტოვა მისმა ცილის მწამებლურმა ენამ? სულ ერთის წლის წინად ისე დარწმუნებულნი იყვნენ პალმი და მისი მეგობრები, რომ დიდებული, შეურყეველი, უძლეველი ტაძარი ავაგეთო. მერე რა იქნა ეს ტაძარი?

რა საცოდავნი არიან საბრალონი! როგორ გაჰქრენ ყველანი დღის სინათლეზე და გაჰქრა მათი საქმეც! დაუვიწყარი და სამაგალითო გაკვეთილია როგორც ხალხის მტრების, ისე მეგობრებისათვის!...

* *

კავკასელთა ერების ერთობა! ერთობა, კიდევ ერთობა! ბევრჯერ მითქვამს ეს სიტყვები. ბევრჯერაც ვიტყვი და არასოდეს არ ვულალატებ ამის განხორციელებას და განმტკიცებას კავკასიის ცხოვრებაში. ეს ერთობა შეურყეველი რწმენაა, აუცილებლობა. მაგრამ არავითარი რწმენა არ განხორციელდება თავისთავად, ამისათვის არის საჭირო შრომა, გამონახვა იმ გზისა, რომლითაც უნდა მოვიპოვოთ სასურველი ერთობა, და ამ შრომას დროს ყველაზე უფრო საჭიროა გულწრფელობა ყველა კავკასიელ ერების მხრივ, თუ დაფარული და დამალული გვექნება ჩვენი ნამდვილი გრძნობები და ფიქრები, ჩვენ ვერასოდეს ვერ მივაღწევთ ერთობას.

კავკასიის ავტონომია, აი ის სარკე, რომლითაც უნდა წარმოვიდგინოთ მომავალი კავკასიისა; ეს უკვე აღარ არის დასამალავი, არ არის დანაშაულობა, რომლისათვის უნდა დავისაჯოთ.

მაგრამ ავტონომია როგორი, ერთიანი, თუ სხვა და სხვა ნაწილებისაგან შედგენილი და შეკავშირებული? ეჭვი არ არის, ვიდრე კავკასიის ერები ისე დაუახლოვდებოდნენ ერთმანეთს, ისე შეითვისებდნენ და დაემსგავსებოდნენ ერთმანეთს, რომ რამდენისამე ერის მაგიერ კავკასიაში იქნებოდეს ერთი კავკასიელი ერი, კავკასიის ავტონომია შეიძლება მხოლოდ ფედერაციის ნიადაგზე. დღეს აუცილებლად საჭიროა, რომ კავკასიის ეროვნებათა მიხედვით დანაწილდეს ტერიტორიებით და ასეთ თვითმმართველ ნაწილებისაგან უნდა შესდგეს ერთი კავშირი, კავშირი თვითმმართველ კავკასიელ ერებისა. სხვანაირი კავშირი შეუძლებელია დღეს კავკასიაში.

ასეთივე აზრია გამოთქმული ბ. გ. ო-ის წერილში („ახალი მიმოხილვა“), მაგრამ ავტორის პრინციპიალურად მართალი აზრი დამახინჯებულია მეტად უცნაურ ანგარიშით. ასეთი ანგარიშით ვერავითარ სამსახურს ვერ გაუწევს კავკასიის ერთობას.

ყველაზე უწინარეს სიმართლე და გულწრფელობა ყველა კავკასიელების მხრივ!

სიტყვა

ევგენი ტრუბეცკოის წერილი

თავად ევგენი ტრუბეცკოის წერილი, „სინ ოტეჩესტვა“-ს მე-26 ნომერში დაბეჭდილი, ბევრ მწვავე საკითხებს ეხება. „დღითი დღე ჩვენი მდგომარეობა უფრო და უფრო საშიში ხდება. შორეულ აღმოსავლეთში იფერფლება ჩვენის ჯარის მიერ მიტოვებული ქალაქები, სოფლები და საწყობები. ამავე დროს შინ, ცეცხლი მოედო მემამულეთა სახლ-კარს... დიდი ცეცხლია განაპირა ქვეყნებშიაც...“.

არ უნდა გვიკვირდეს ჩვენი ასეთი მდგომარეობა, თუ მხედველობაში მივიღებთ ჩვენის ბიუროკრატიის მოღვაწეობასო. მართლაც, რას გვეუბნებოდა, რას გვიბრძანებდა მთავრობა? „გეშინოდეთ მთავრობის და იზრუნეთ მხოლოდ საკუთარ, კერძო საქმეებზედო. რაც შეეხება ეროვნულ პოლიტიკას, აქაც პრინციპად იყო აღიარებული გაბატონებულ ველიკოროსების ვიწრო ეგოიზმი... მთელი პოლიტიკა თითქოს მოწადინებული იყო, რომ მოესპო საზოგადოებაში ყოველი სოლიდარობა, დაეყენებინა ერთი ტომი მეორეს წინააღმდეგ, ერთი კლასი მეორე კლასის წინააღმდეგ...

ამიტომაც მოხდა, რომ ერთის დაკვრისაგან შეირყა მთელი ჩვენი სახელმწიფო და საზოგადოებრივი შენობა. ჩვენ ოფიციალურ წრეებში ჯერ საკმაოდ ვერ შეუგნიათ მიზეზი ჩვენის დამარცხებისა... განა შეუძლია გამარჯვება ისეთ სახელმწიფოს, რომელიც უცხოა თავის ქვეშევრდომთათვის. რას მისცემს გამარჯვება განაპირა ქვეყნების მცხოვრებთ—პოლონელებს, ებრაელებს, კავკასიელებს და ფინლიანდელებს, რას უნდა მოელოდნენ მისგან თვით ველიკოროსები, რომელნიც, მიუხედავათ წინანდელ გამარჯვებათა, ისე სცხოვრობენ სახლში, როგორც დაპყრობილ ქვეყანაში. განა შესაძლებელია ძლიერი იყოს ის ქვეყანა, სადაც ამდენის ხნის განმავლობაში ჰკლავდნენ პოლიტიკურ აზრსა და მამულისშვილურ გრძნობას? განა სულ იმას არ გვეჩიჩინებოდნენ, რომ სახელმწიფო საქმე ჩვენი საქმე არ არის? განა ასეთ პირობებში უნდა გვიკვირდეს, რომ რუსის ჯარის გამარჯვება ჩვენი გამარჯვება არ არის ისე, როგორც მისი დამარცხება ჩვენი დამარცხება არაა...

ამ ანარხიასა და უძლურებიდან თავის დასაღწევად ისევ უნდა შეიკრიბოს დანაწილებულ სხეულის ნაწილები, უნდა შევიგნოთ ჩვენი ძირითადი ისტორიული შეცდომა... სახელმწიფო საქმეებისათვის უნდა მოვუწოდოთ იმპერიის ყველა მცხოვრებთ განურჩევლად!!. გლეხებისა და მუშების საქმე პირველი საზრუნავი საგანი უნდა იქნესო. მაგრამ უნდა მოვიგონოთ დაჩაგრული ერებიც.

„ვრცელ დემოკრატიულ რეფორმების საჭიროება საკმაოდ შეგნებული და კარგად გარკვეულია ჩვენ პერიოდიულ მწერლობაში. მაგრამ საკმაოდ კი გვაქვს შეგნებული მნიშვნელობა ეროვნულ კითხვისა, რომელიც დღეს თუ ხვალ წარმოგვიდგება მთელის თავის მრისხანე დიდებით? ებრაელები ელიან ჩვენგან, რომ ადამიანებად ვიცნობთ მათ. ფინლანდიელები, პოლონელები, კავკასიის ხალხნი გამოურკვეველის გრძნობით შესცქერიან ჩვენ განმათავისუფლებელ მოძრაობას: იმედი უიმედობას ებრძვის, და ნუ თუ პურის მაგიერ ქვას მივაწვდით. პოლონეთში უკვე იჩინა თავი ეროვნულ მოძრაობის შავბედითმა ნიშნებმა. გერმანია დამარაგებულია; შესაძლებელია, რომ ჩვენ საზღვარზე დაყენებული ჯარი ახალ უბედურებას გვიქადიდეს. აჯანყება განადგებული იქნებოდა და უცხოელი დამამშვიდებელნი გაჩნდებოდნენ იქ, რომ პოლონელები იმედით არ შესცქეროდნენ ჩვენს განახლებას..

თანასწორ უფლებიანობამ უნდა შეგვარიგოს მოძმე ხალხთან და იმპერიის ყველა ერებთან...

ჯერ უდროოდ მიმაჩნია შერიგების პირობებზე ლაპარაკი. ეს პირობები უნდა შემუშავდეს პოლონელების მონაწილეობით ხალხის წარმომადგენლების მომავალ კრებაზე. ახლა კი ჩვენი მოვალეობაა ენერგიულად მოვითხოვოთ, რომ არა რუსებს ისეთივე უფლება ჰქონდეს წარმომადგენლობაში მონაწილეობისა, როგორიც ნამდვილ რუსებს ექნებათ... პირველი მოვალეობა იქნება განთავისუფლებულ რუსის ხალხისა სინდისი გაიწმინდოს იმ მძიმე ცოდვისაგან, რომელიც ჩირქსა სცხებს მის წარსულს.

რუსეთის ხსნა თხოულობს პირველად ყოვლისა განაპირა ქვეყნების დამშვიდებას. სხვა სახელმწიფოებზე უფრო რუსეთია დაინტერესებული, რომ არ იყოს აქ მჩაგვრელი და დაჩაგრული ერი, რომ ყველა ერებს კარგი ცხოვრება ჰქონდეთ... ნუ თუ ჩვენთვის ცხადი არ არის, რომ ჩვენი ძლიერება გაათკეცდება, როცა საფრთხობელა და მძულვარების საგანი არ ვიქნებით (რუსები) სხვა ერებისათვის?

უნდა ვირწმუნოთ, რომ, როცა ავასრულებთ სამართლიანობის მოვალეობას, მოძმე ერები თავის მხრივ გვერდს აუხვევენ ვიწრო ნაციონალისმს და წამოგვიყენებენ მხოლოდ სამართლიანს მოთხოვნას—ავტონომიას განსაზღვრულ ტერიტორიაზე და თანასწორ-უფლებიანობას იქ, სადაც სხვა და სხვა ერის წარმომადგენელნი ცხოვრებენ ერთად. ეს მოთხოვნანი დაკმაყოფილებულ უნდა იქნენ ქრისტიან ეთიკისა და იმ პოლიტიკურ პრინციპების სახელით, რომელიც ჩვენ გვრწამს.“

ღამის დეპეშები

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან“
26 მარტი.

პეკინი, 25 მარტი. იაპონელებს ეშურებიან გამართონ რკინის გზა ფისხუანჩენიდან ლიაოიანამდე.

სინგაპური, 25 მარტი. ნავთ-სადგურიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით 70 მილის მანძილზე გამოჩნდა 70 სამხედრო გემი.

პეტერბურგი, 26 მარტი. „ნოვოე ვრემია“-ს სიტყვით კავკასიის ნამესტნიკის თანაშემწედ სამოქალაქო საქმეების მართვა-გამგეობაში დაინიშნა კავკასიის მთავარმართებლის საბჭოში ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენელი წევრი სულთან-კრიმგირეი.

სინგაპური, 26 მარტი. (დეილი-ექსპრესი). სანაპირო გემის კაპიტანმა სთქვა, 70 მილის მანძილზე პენანგის სამხრეთ-დასავლეთით 27 სამხედრო გემი ვნახეო. დაწვრილებითი ცნობები-კი არ მოუწოდებია.

ბატავია, 25 მარტი. (დეილი ექსპრესი). როგორც ჩინელთ ჯონკებით მოსული ამბობენ, იაპონელების სამხედრო გემები ათვალიერებენ ყველა სრუტეებს, რომლებითაც კი შეუძლიან როჟესტვენსკის ჩინეთის წყლებში გასვლა. ნაღმოსნები და კრეისერები ზონდისა, ფლორესისა და ბალის სრუტეებში სჩანდნენო. ღამოობით გემები ბოლს არ უშვებენ და ცეცხლ გამქრალი მიდიან.

პეტროკოვი, 25 მარტი. „გუბერნ. ვედომსტ.“-ში და ლოძის გაზეთებში დაბეჭდილია გუბერნატორის განცხადება, რომლის ძალით ვინც მემამულის სახლ-კარს დაეცემა, მემამულის მიწებს ჩაიგდებს ხელში, ძალადობითა და მუქარით წარუდგენს მათ სხვა და სხვა მოთხოვნებს და ჯგუფებათ წინააღმდეგობას გაუწევს ადმინისტრაციასა, პოლიციას, ან ჯარებს, ისინი სამხედრო სამართალში მიეცემიან ომის დროის კანონის ძალით.

პარიზი, 25 მარტი. (ჰავასი). დღეს დელკასე მოკლე ცნობას შეიტანს პალატაში მაროკოს საკითხის მდგომარეობაზე.—შეთქმულების საქმის სასამართლო გამომძიებელმა ბრძანება გასცა გაჩხრეკის შესახებ. ის ცნობა, რომ დევალდეს პერრეს თოფები უპოვნესო—ტყუილია.

ათინა, 26 მარტი. პართენონში აკროპოლზე მეფისა, სამეფო გვარეულობისა, დიპლომატებისა და დეპუტატების თანადასწრებით გაიხსნა არხეოლოგიური კონგრესი. მეფის შვილმა სიტყვა სთქვა., რომელშიდაც ძველი ელლადა შეაქო. სალონიკიდან მოსული ცნობა, ვითომც მაკედონიაში 250 ბერძენს არეულობა მოუხდიათ—ტყუილია.

მინსკი. ნოვგოროდის მაზრაში შესდგა კომიტეტი მიცკევიჩისთვის ძეგლის დასადგმელად.

ბელგრადი. „სტამპა“ იუწყება, 19 მარტს სერბიისა და ბულგარიის რაზმებს შეტაკება მოუხდათ ოსმალებთან. ბულგარელები გააქციეს და გასწყვიტეს ოსმალთ ჯარებმა. სერბიელებსაც ზარალი მოუვიდათ და უკან დაიხიეს.

ვარშავა, 25 მარტი. აქაურ ოლქის სასამართლოს იურიდიულ კონსულტაციის დეპუტატებმა, ნაფიცმა ვექილებმა ლეშჩინსკიმ, პაპროსკიმ და სხვ. წარუდგინეს გენერალ-გუბერნატორს წერილობითი მოხსენება, გმინების საქმის წარმოებაში დაცულ იქმნეს პოლონური ენაო. გენერალ-გუბერნატორმა აღუთქვა, განვიხილავ მოხსენებასაო.

კალუგა, 25 მარტი. საგუბერნიო კრებაზე დადგენილ იქმნა ხოლერასთან საბრძოლველად მოწვეულ ექიმთა და სანიტართა ოჯახებს მიეცესთ ერთდროულ დახმარებათ ერთის წლის ჯამაგირი იმ შემთხვევაში, თუ ვინმე მათგანი იმსხვერპლა ჭირმაო.

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან.
25 მარტი

ტოკიო. სეულ-ფუზანის რკინის გზა 12 მაისს გაიხსნება. გზის გაკეთებას ჩქარა მორჩებიან.—პრინცი ლეოპოლდ პრუსიელი მოვიდა პეკინში და ხვალ ბოგდიხანს წარუდგება. აქ კითხვაა, როგორ შეუერთდება იგი რუსეთის არმიას.—აღმოაჩინეს ორი სამარცხვინო საქმე სამხედრო უწყებისთვის საჭირო საგნების მიწოდების შესახებ; წარმომადგენელთა პალატის პატარა კომისიამ გადასწყვიტა მოითხოვოს მიკადოსაგან, რომ მან სამართალში მისცეს დამნაშავენი. ჰფიქრობენ, საქმის გამოძიება შეარყევს მთავრობის მდგომარეობასაო, რადგანაც, როცა ზემოხსენებული ამბავი მოხდა, მაშინ სამხედრო მინისტრად კატცურა იყოო.

ლონდონი. ბარონი სუემატსუ ყოველ კვირეულ ჟურნალში დაბეჭდილ სტატიაში მსჯელობს იმ პირობების შესახებ, რომელთაც იაპონელები წარადგენენ იმ შემთხვევაში, თუ რუსეთი ზავის ჩამოგდებას მოინდომებს და ამბობს, უეჭველია, რომ საკითხის დროებით გადაწყვეტილებაზე თავის დღეში არ დასთანხმდება იაპონიაო.—ჩვენ ისეთი ზავი გვსურს, რომელმაც უზრუნველ უნდა ჰყოს მშვიდობიანობა შორეულ აღმოსავლეთში თუ ორისთვის არა, ერთ ჩამომავლობისთვის მაინცაო. იმის შესახებ, რომ შეიძლება იაპონიის დაჟინება კონტრიბუციაზე უარის თქმაში, თუ ინგლისი და ამერიკა დასდებენ ზავის გარანტიასო, სუემატცუ ამბობს, თუმცა იაპონია ძლიერ მაღლა აყენებს ორივე ნაციების გრძნობებს და დიდს მნიშვნელობას აძლევს ინგლის-იაპონიის კავშირს, იგი მაინც შეურაცხყოფილი იქმნება, რომ განაცხადოს, რომ ნაციათაში მეგობრობის გამო უარს ამბობს იმისთანა მოთხოვნებზე, რომელთა წარდგენის მას სრული უფლება აქვსო.

პეტერბურგი. ლინევიჩის უქვეშევრდომილესი დეპეშა 1905 წ. 25 მარტის თარიღით: „ჩვენის რაზმის ბრძოლა ცინძიატუნთან, რომელიც 22 მარტს დაიწყო, 12 საათი გაგრძელდა. მტერს დიდი ზარალი მოუვიდა. ჩვენ მოგვიკლეს სოტნიკი მასალსკი და 4 ყაზახი, დაგვიჭრეს პოდესაული პარტმანი და სოტნიკი ჩერვინსკი (ორივემ განაგრძეს ბრძოლა), ზაურიად-პრაპორშჩიკი და ერთი ყაზახი. რამდენიმე მსუბუქად დაჭრილნიც რაზმში დარჩნენ.

„23 მარტს ჩვენმა მოხალისეებმა თოფები დაუშინეს იაპონიის რაზმებს და ტაიპინლინისაკენ დაახევინეს მათ. 24 მარტს ჩვენმა ქვეითა რაზმმა გააძევა მტერი და დაიჭირა სოფ. კუიუში. იაპონელებმა ფიცხლავ დაიხიეს ჩვენის რაზმის წინაშე.

კანეია, 25 მარტი. სოლინოს ახლოს კანდანოში დიდი შეტაკება მოხდა აჯანყებულთა და ჟანდარმთა შორის, რომელთაგან ორი დაიჭრა. დაატუსაღეს 12 აჯანყებული. მცირე შეტაკება აპოკორონის ოლქშიც მოხდა; იქაც ორი აჯანყებული დაიჭირეს.

ჭუბმინენი, როცა მე-33- პოლკი როტა მიდიოდა ხიდზე, უკანასკნელი შუაზე გარიგდა და ბევრი სალდათი და ოფიცერი დაიხრჩო წყალში.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ბ. ჯაბადარი.

განცხადებანი

✦ კბილებს ✦

ვიღებ, პლომბს ვუკეთებ, ვასუფთავებ, ვსვამ ახალ ხელოვნურ კბილებს და [illegible] ცუდ სუნს. გ. მ. ხოხველი. მიხეილის ქ., № 108. გერმანელთა ტაძრის პირდაპირ. ხელ-მოკლეებს იაფად. (30—24

ტფილისის კაფედრალო **სიონის ტაძრის** გვერდით არის საწყობი საეკლესიო ყოველ გვარ ნივთეულობათა, სადაც ყველა ნივთეულობა ისყიდება იაფად, თითქმის ქარხანათა ფასებით. იქ ისყიდება: ხატები, ჯვრები, ბაირაღები (ხორუგვი), შანდლები, შვიდ სასანთლები, კანდელები, ფარჩეულობა და მზად შეკერილი შესამოსელნი სამღვდელო და სადიაკვნო. შეკვეთითაც შეიძლება შეიკეროს საჩქაროდ და იაფად შესამოსელი დაწყებული 14 მან. ვიდრე 150 მანეთამდის. სანთლის ქარხანაშიაც შეიძლება შეკვეთა და საწყობშიაც. (0—4)

✦ ბორო-ნაფტალინი ✦

სრულიად აქრობს თავის **ქერტლს, ამაგრებს თმას და ხელს უწყობს თმის ამოსვლას; ამასთან თმას ნამდვილ სახეს აძლევს.**

ნება დართულია სამკურნალო განყოფილებისაგან როგორც უვნებელი ნივთიერება. საწყობი სააფთიაქო საქონლის კავკასიის ამხანაგობისა ტფილისსა, ბაქოსა და ბათუმში; რუსეთის აფთიაქებსა და სააფთიაქო მაღაზიებში.

ფასი 1 მან. 25 კაპ.

ტფილისსა და დიღომს შუა სამგზავრო ეტლი მიმოდის ყოველ დღე

დიღმიდან ვერაზე: დილის 7 საათზედ, ნაშუადღევის 3 საათ.

ვერიდან დიღომს: დილის 9 საათზედ, საღამოს 5 საათზედ

მგზავრზედ 25 **კაპეიკი.**

პატარა მოსწავლეთათვის 15 **კაპეიკი.** (10—5)

ტფილისში ტანისამოსის მკერავი

ი. ნ. სვანიძე.

მიღებულია მდგომარე სეზონისათვის დიდ-ძალი მატერიები რუსული და საზღვარ-გარეთული ტანისამოსის შესაკერად ერის კაცთა, სამხედრო და სამოქალაქო მოხელეთათვის და ყველა სასწავლებლის მოსწავლეთათვის. შეკვეთილი საქმე **მსწრაფლ, კარგად** და **დროზე** მზადდება. **ფასები ძალიან ზომიერია.** ლორის-მელიქოვის ქ. სახლი ზუბალოვისა, მართლმადიდებელთა სასულიერო სემინარიის პირდაპირ. (30—27)

თხზულება ნ. ნიკოლაძისა
იაპონია
ფასი-20 კ. აქვე იყიდება დიდი სურათი
შოთა რუსთაველისა ფ.-50 კ.
ტფილისი. წიგნის მაღაზია „ცოდნა“.
(10—8)

„მიქელ-ანჯელო“
ხელოვნურ ჩარჩოების მაღაზია.
მიხეილის პრ. ს. სტეფანოვისა, № 67.
ბრწყინვალედ და კარგად გაკეთებული 4 მანეთად.
ვადიდებ პორტრეტებს კონტა განიერ ჩარჩოში მინით. მრავალია ბაგეტები ჩარჩოებისა და კარნიზებისთვის მოდერნისა და როკოკოს სტილისა. ვსვამ სურათებს ჩარჩოებში. (2—119—2)

„ცოდნა“ ქართული წიგნის მაღაზია
ტფილისი, ქვაშვეთის ქუჩა, არჯევანიძის სახლი (ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ).
იყიდება ყოველგვარი ქართული წიგნები და სკოლებში სახმარებელი სახელმძღვანელოები.
მიზანი „ცოდნის“ მაღაზიისა არის გავრცელება ხალხში და საზოგადოებაში გამოსადეგ, სასარგებლო და ყველასთვის ხელ-მისაწდომ წიგნებისა. **მსურველთ** წიგნები ეგზავნებათ ფას დადებითაც.
იყიდება კალენდრები—ჯიბისა 10 კ. კედლისა 40 კ. ერთბაშად ბევრის მყიდველებს ფას დაკლებით
ადრესი: **Тифлисъ, книжный магазинъ „ЦОНДНА“.**
(წლ.). წიგნის მაღაზიის გამგე **სოსიკო მერკვილაძე.**

პირველი საწყობი
შეშისა
✦ გ. ი. კურცხალიასი ✦
ანდრეევის ქუჩა, დამოკის პირდაპირ. საკუთარის ტყიდან მიღებულია დიდ-ძალი შეშა ყოველგვარ ღირსებისა, რცხილისა, წიფლისა, მუხისა, რთხმელისა და სხვა მუხის დიდი ბოძები. შეშის სახლში მიტანას ფირმა საკუთარ პავოზკებით კისრულობს. შეშა იყიდება საჟენობითაც და ფუთობითაც. მყიდველს ნება აქვს შეშის ჩაჯენი თავის თვალ წინ დაადგმევინოს, რადგანაც მსყიდველები ბევრჯელ სტყუვდებიან დადგმულ საჟენებიდან. მეორე განყოფილება იმყოფება ვერის ხიდის ყურთან.
(90—25) **გამგე ნიკოლოზ პავლეს ძე კიკნაძე.**

განცხადება

გვაქვს პატივი ვაცნობოთ პატივცემულ საზოგადოებას, რომ ჩვენ საზღვარ-გარეთიდან ეხლახან მივიღეთ აუარებელი საუკეთესო სისტემის

საკერავი მაშინები

ყოველივე თავის მოწყობილებით.

ფასი ძლიერ პირიანია.

ხელ-მოკლე მუშტრებს საკერავ მაშინებს ვაძლევთ ნისიადაც, რომელთაც შეუძლიანთ წვრილ-წვრილად გადაიხადონ მაშინის საფასური. სიონის ქ. მაისურაძის და ხოჯაფარუხოვის ქარვასლა.

(15—5) პატივის-ცემით **გ. ა. ლაზარევი და ძმანი ჯუმუხაძეები.**

КАКАО ВАНЪ-ГУТЕНА
კაკაო ვან-ჰუტენის

გამმაგრებელი სასმელი
ჯარისა და ფლოტისათვის
ადვილად სახმარებელია აგრეთვე ჯარის საავადმყოფოებში და წითელი ჯვრის ჰოსპიტალებში.
როგორც ავადმყოფთა ღონის მომმატებელი
1 გირვანქაში 100 ფინჯანი გამოდის
Фабриканты C. J. van Houten & Zoon, Weesp (Голландія)
(2—2)

კავკასიის სააბრეშუმო სადგურის საწყობში (ტფილისი, მუშტაიდი) იყიდება
✦ **ცელულიარული გრენა** ✦
(აბრეშუმის თესლი)
თეთრი და ყვითელი ჯიშისა—მისხალი 40 კაპ.; ჭიის გამოკვების, თესლის დამზადების, აბრეშუმის ძაფის ამოხვევის და საფეიქროსათვის საჭირო მანქანები და იარაღი, მეაბრეშუმეობის სახელმძღვანელოები და კოლექციები.
ფუტკრის გაშენებისათვის საჭირო იარაღი და მანქანები: სკები, ხელოვნური ფიჭა, თაფლის საქაჩავი, სხვა-და-სხვა სისტემის სკების გეგმები, სახელმძღვანელოები და სხვა საჭირო საგნები. პრეისკურანტი უფასოდ (15—6.—7)

იყიდება იაფად ტფილისსა და გორში ხეხილის ხეები და ნერგები კ. აფრიკიანის სანერგეს „ტრუდ“-იდან.
მსურველმა უნდა მიჰმართოს: ტფილისში—მაღაზია მელიქ-ბახტამიანცისა და ამხან. პუშკინ. ქ. გორში—კ. აფრიკიანი. კატალოგები უფასოდ. (10—87—9)

ШВЕЙНЫЯ МАШИНЫ
ШВЕЙНЫЯ МАШИНЫ
ШВЕЙНЫЯ МАШИНЫ
КОМПАНІИ ЗИНГЕРЪ
Необходимы для домашняго употребленія. Образцовы въ конструкціи и исполненіи. Продаются только въ магаз. Комп. Зингеръ.
Отпускъ машинъ съ платежемъ **отъ 1 рубля въ недѣлю.**
Безплатное обученіе шитью и моднымъ художественнымъ вышивкамъ.
Остерегайтесь поддѣлокъ!
Ручныя машины съ высокимъ рукавомъ во всѣхъ нашихъ магазинахъ отъ 25 руб.
Болѣе 1200 собственныхъ магазиновъ по всей Россіи!
ШВЕЙНЫЯ МАШИНЫ КОМПАНІИ ЗИНГЕРЪ
Магазинная вывѣска
Рисунокъ утв. Отд. пром. и торг. М. Фин.
THE SINGER MANFG. CO. TRADE MARK
фабричное клеймо которымъ снабжены машины.
საკერავი მაშინები ზინგერის ამხანაგობისა
იყიდება მხოლოდ ამხანაგობის საკუთარ მაღაზიებში. ამხანაგობას 1200-ზე მეტი მაღაზია აქვს რუსეთის სხვა-და-სხვა ქალაქში. მაღაზიები გაიგება ზედწარწერით, რომელზედაც გამოხატულია ასო „ზ“. ნახატი დამტკიცებულია ფინანსთა სამინისტროს სამრეწ. და სავაჭრო განყოფილების მიერ. გაუფრთხილდით, არ მოგატყუონ! ყიდვა მაშინისა შეიძლება ნისიად და ფულის ნაწილ-ნაწილ შემოტანით, კვირაში ერთი მანეთიდან. (25—2).

Доз. цен. Тифлисъ, 26 Мартъ 1905 г
Электропеч. груз. изд. т—ва. ელექტრონის სტამბა წიგ. გამომ. ამხ—ბ.